

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ნინო აბესაძე, მარინე მინდორაშვილი, ნინო ფარესაშვილი

Nino Abesadze, Marine Mindorashvili, Nino Paresashvili

უცხოელი ვიზიტორების ტურისტული ხარჯები
საქართველოში

TOURIST EXPENSES OF FOREIGN VISITORS IN GEORGIA

თბილისი

2018

მონოგრაფია ეფუძნება 15 წლისა და უფროსი ასაკის უცხოელი ვიზიტორების ტურისტული ხარჯების სტატისტიკური კვლევის შედეგებს. კვლევა ჩატარდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საფაკულტეტო მიზნობრივი კვლევითი პროექტის ფარგლებში 2016 წლის მაის-აგვისტოში (თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტებში). ნაშრომში დეტალურად არის განხილული ტურისტული ხარჯების სტატისტიკური შესწავლის თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხები, გაანალიზებულია კვლევის საბოლოო შედეგები და ჩამოყალიბებულია მისი სტატისტიკური შესწავლის მეთოდოლოგიური სრულყოფის კონკრეტული მიმართულებები.

მონოგრაფიაში საკითხები განხილულია ევროსტატისა და მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის რეკომენდაციების გათვალისწინებით.

ნაშრომი კარგ სამსახურს გაუწევს ტურიზმის განვითარებით დაინტერესებულ პირებს: უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს, ოფიციალური სტატისტიკური ორგანოების მუშაკებს, ბიზნესმენებს, მენეჯერებსა და სხვ.

კვლევის პროცესში მონაწილეობდნენ თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამივე საფეხურის სტუდენტები: თეონა მაისურაძე, გიორგი მიქელაძე, გვანცა მიქელაძე და ნინო გელაშვილი.

რედაქტორი ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **სიმონ გელაშვილი**

რეცენზენტები: ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი **მარინე მუჩიაშვილი**
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ასისტენტი პროფესორი **ზამირა შონია**

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2018

ISBN 978-9941-13-725-9

შესავალი.....	5
ტურისტული ხარჯების გლოსარიუმი ევროსტატის რეკომენდაციების მიხედვით	8
Обследование зарубежных визитеров в аэропортах Грузии ...	24
კვლევის საბოლოო შედეგები – ტურისტული ხარჯების დიფერენციაციის სტატისტიკური მაჩვენებლები	34
დასკვნები და რეკომენდაციები	56
ლიტერატურა	59
STATISTICAL RESEARCH OF TOURIST EXPENSES IN GEORGIA (ინგლისურ ენაზე).....	61
დანართები.....	74
ავტორთა შესახებ.....	129

უკანასკნელ პერიოდში მსოფლიო ეკონომიკაში ყველაზე მზარდი პოტენციალი მომსახურების სფეროში დაფიქსირდა. ბუნებრივია, მომსახურების, კერძოდ ტურიზმის, მიმართ გაზრდილმა ინტერესმა საქართველოშიც გააჩინა მისი საფუძვლიანი გამოკვლევის ახალი მოთხოვნები.

უდავოა, რომ, როგორც სხვაგან, ტურიზმის სფეროში მიმდინარე მოვლენების შესაფასებლად, ტენდენციების გამოვლენისა და სტატისტიკური კანონზომიერებების დასადგენად აუცილებელია ობიექტური ინფორმაცია, რაც ტურიზმის სტატისტიკური აღრიცხვის საერთაშორისო მეთოდოლოგიის სრულყოფილ ადაპტაციასა და პრაქტიკულ რეალიზაციას მოითხოვს ადგილზე. ტურიზმის სტატისტიკაში ძირითადი პრობლემები უკავშირდება ინფორმაციის მოპოვების სირთულესა და არასრულ აღრიცხვიანობას. დღეისათვის საქართველოში ისეთი სურათი იქმნება, რომ რეალურად ვერ ფასდება ტურიზმის ინდიკატორები და, შესაბამისად, ვერც მათი რაოდენობრივი ანალიზი ხდება. საქმე ისაა, რომ, ერთი მხრივ, ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკატორში ტურიზმი, როგორც საქმიანობის სახე, ცალკე არ არის გამოყოფილი. ამიტომ ის ინფორმაცია, რომელიც გარკვეული დოზით მოიცავს ტურისტულ მოვლენებს, ჩაშლილია მომსახურების სხვადასხვა დარგსა და ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში; მეორე მხრივ, მომსახურების სხვადასხვა დარგშიც სრულად არ ხდება მომსახურების სფეროს იმ ობიექტების მოცვა, რომლებთანაც ტურიზმი დაკავშირებული, რის გამოც ტურიზმის ძირითადი ინფორმაციული უზრუნველყოფის წყაროები დივერსიფიცირებულია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, საზღვრის დაცვის დეპარტამენტისა და საგადასახდელო ბალანსის მონაცემებს, აგრეთვე, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ ჩატარებული კვლევის მასალებსა და ექსპერტული შეფასებით მიღებულ შედეგებს შორის.

საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ტურიზმის სტატისტიკური ანგარიშები ეფუძნება საერთაშორისო მაკროეკონომიკურ ბაზას, კერძოდ, ეროვნულ ანგარიშთა სა (ეას) და საგადასახდელო ბალანსს (სგ). ტურიზმის სატელიტური ანგარიშები ანალიტიკური ხერხია, რომელიც გვაძლევს ტურისტული სექტორის შემუშავების

საშუალებას ეას-ის კონტექსტში. სრული ტურისტული სატელიტური ანგარიშები, სხვა მნიშვნელოვან პუნქტებთან ერთად, გვაძლევს დეტალურ მონაცემებს ტურისტულ ხარჯებზე, რათა დავინახოთ, თუ როგორ კმაყოფილდება ტურისტული მოთხოვნა შიდა მინოდებისა და იმპორტის ხარჯზე.

არასათანადო და არათავსებადი ინფორმაციული უზრუნველყოფის პირობებში კი ვერ ხერხდება ტურისტული პოტენციალის ზუსტი გაანგარიშება მთელი თავისი მოსალოდნელი შედეგებითა და პროგნოზებით. ამიტომ შერჩევითი გამოკვლევის ჩატარება ბაზრის ამ სეგმენტზე აუცილებელ და საინტერესო შედეგებამდე მიგვიყვანს, რაც ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე ტურიზმის ზეგავლენის განსაზღვრის ეფექტური მექანიზმის ჩამოყალიბების წინაპირობას შექმნის.

აქედან გამომდინარე, თანამედროვე ეტაპზე ფრიად აქტუალურია საქართველოს ტურისტული პოტენციალის რაოდენობრივი შეფასება, ტურისტული ხარჯების კომპლექსური სტატისტიკური შესწავლა, კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიური აპარატის ფორმირება და მიღებული კვლევის შედეგების საფუძველზე სათანადო პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება. ამიტომ მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი „უცხოელ ვიზიტორთა ტურისტული ხარჯების სტატისტიკური კვლევა“ უნიკალური და ინოვაციურია. მისი ძირითადი მიზანია უცხოელ ვიზიტორთა ტურისტული ხარჯების კომპლექსური სტატისტიკური ანალიზი, რის გამოც მას აქვს თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა როგორც მიკრო-, ასევე მაკროდონეზე.

კვლევითი პროექტის ძირითადი მიზანია იყო უცხოელ ვიზიტორთა ტურისტული ხარჯების კომპლექსური სტატისტიკური ანალიზი SPSS-ის გამოყენებით.

წინამდებარე პროექტი არის ტურიზმის სფეროში რაოდენობრივი ანალიზისა და ტურისტული ხარჯების სტატისტიკური შეფასებისადმი ერთ-ერთი მიდგომა, რომელიც უცხოელ ვიზიტორთა მიერ გასაწევი ხარჯების მოლოდინებს უკავშირდება. კვლევა ორიენტირებული იყო შემდეგი ამოცანების გადაწყვეტაზე:

ტურიზმის ინფორმაციული უზრუნველყოფის წყაროების დეტალური დახასიათება;

ტურისტული ხარჯების შესახებ ქართული და უცხოური სპეციალური ლიტერატურის კრიტიკული მიმოხილვა;

კვლევისათვის აუცილებელი გენერალური პოპულაციისა და შერჩევითი პოპულაციის წესების განსაზღვრა;

ტურიზმის სფეროში სტატისტიკური დაკვირვების ინსტრუმენტარის მომზადება (შესაბამისი კითხვარის მომზადება, მისი შევსების ინსტრუქცია, დაკვირვების ჩატარების ადგილი, ვადები, მათი მიღების ფორმები, წესები და ა.შ.);

კვლევის მასალის ეტაპობრივი შეტანა, სორტირება, ფილტრაცია, რეკოდირება, კროსტაბულაცია, ტიპოლოგიური, სტრუქტურული და ანალიზური დაჯგუფება, ჯგუფური და კომბინაციური ცხრილების მომზადება და სხვადასხვა სტატისტიკური მაჩვენებლის გამოთვლა სათანადო ანალიზისათვის;

კვლევის მასალის დამუშავება და სტატისტიკური ანალიზი კომპიუტერული პროგრამა SPSS-ის გამოყენებით;

რეკომენდაციების შემუშავება ტურისტული ხარჯების სტატისტიკური აღრიცხვის სრულყოფის საკითხებზე.

კვლევის შედეგებით განვსაზღვრეთ, როგორი იყო უცხოელი ვიზიტორების ხარჯების სტრუქტურა, ტურისტული კომპანიებისა და ტურისტული პროდუქტების კონკურენტუნარიანობა, რაც, საჭიროების შემთხვევაში, საჭირო რეკომენდაციების შემუშავების საფუძველი შეიძლება გახდეს მათი საქმიანობის შემდგომი განვითარებისთვის.

ტურიზმის სტატისტიკის უმნიშვნელოვანესი მიმართულება ტურისტული შემოსავლები და ხარჯებია, რომლებიც მოიცავს ტურიზმის ღირებულებით შეფასებას, რაც აუცილებელია ეროვნულ ეკონომიკაზე მისი გავლენის შესაფასებლად, კერძოდ, ის მოიცავს საგადამხდელო ბალანსს, აგრეთვე, ტურიზმის ინდუსტრიის სექტორების დახასიათებას.

ტურისტული ხარჯები გულისხმობს ტურისტული მოგზაურობის განმავლობაში შეძენილი საქონლისა და მომსახურების ხარჯებს, მიუხედავად იმისა, საკუთარი მოხმარებისთვისაა ისინი შეძენილი, თუ სხვისთვის. ეს მოიცავს როგორც თავად ტურისტთა მიერ გაწეულ ხარჯებს, ისე სხვების მიერ გადახდილ ან ანაზღაურებულ ხარჯებს.

ტურისტული ხარჯები გამოირიცხავს ისეთი საგნების შეძენას, რომლებსაც ვიზიტორისათვის მოაქვს სარგებელი, მაგალითად: საცხოვრებელი სერვისების გამოყენება, თუ მას იღებს საკუთარი დასასვენებელი სახლიდან, ასევე სხვა საშუაშაფლო, არაპირდაპირ გაზომილი ხარჯები. ესენი შედიან ტურიზმის მოხმარების ინკლუზიურ კონცეფციაში.

ყველა ინდივიდუალური საქონელი და მომსახურება, რომელთაც ეროვნულ ანგარიშთა სისტემა მიიჩნევს საქონლის ან მომსახურების მოხმარებად (რომლებიც აკმაყოფილებენ ინდივიდთა სურვილებსა და საჭიროებებს), შესაძლოა, იყოს ტურიზმის ხარჯების ნაწილი. ეს მოიცავს ვიზიტორთა გაწეულ ხარჯებს ტიპურ მომსახურებაზე, მაგალითად: ტრანსპორტირებას, საცხოვრებელს, საკვებს, სასმელს და სხვ., აგრეთვე, მოგზაურობის განმავლობაში შეძენილ სხვა ძვირფასეულობებს (ნახატები, ხელოვნების ნიმუშები, სამკაულები და სხვ.), მიუხედავად მათი ერთეულის ღირებულებისა, გრძელვადიანი მოხმარების საგნებს (კომპიუტერი, მანქანა და სხვ.), მომზადებულ და მოუმზადებულ საკვებს, ადგილობრივი წარმოების თუ იმპორტულ საქონელს, პირად მომსახურებებს და ასე შემდეგ.

გარდა ვიზიტორთა მიერ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული ხარჯებისა, ტურისტულ ხარჯებში შედის:

- ა) მოგზაურობაში მყოფი დასაქმებულის საქონელსა და მომსახურებაზე დამსაქმებლის მიერ გაწეული ხარჯი;
- ბ) ვიზიტორის ფულადი ხარჯი, რომელიც დაფინანსებულია მესამე მხარის მიერ, იქნება ეს დამსაქმებელი (შინამეურნეობის მომსახურე ბიზნესი, მთავრობა და არასამთავრობო ორგანიზაციები) , სხვა შინამეურნეობა თუ სოციალური სადაზღვევო სქემა;
- გ) ვიზიტორის მიერ ინდივიდუალურ მომსახურებაზე გაწეული ხარჯი, უზრუნველყოფილი და სუბსიდირებული მთავრობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განათლების, ჯანმრთელობის, ხელოვნებისა თუ სხვა სფეროებში;
- დ) ტურისტულ მოგზაურობაში მყოფ დასაქმებულთა და მათი ოჯახებისთვის დასაქმებულის მიერ გაწეული მცირე ხარჯები, როგორებიცაა: სუბსიდირებული ტრანსპორტირება, საცხოვრებელი უზრუნველყოფა, დასასვენებელ სახლებში ღამისთევა და სხვა მომსახურებები;
- ე) ვიზიტორთა მიერ გაწეული დამატებითი ხარჯები სპორტულ თუ კულტურულ ღონისძიებებზე დასასწრებად, ძირითადად, დაფარული მწარმოებელთა მიერ (შინამეურნეობათა მომსახურე ბიზნესი, მთავრობა, არასამთავრობო ორგანიზაციები) .

ტურისტული ხარჯები არ მოიცავს ვიზიტორთა მიერ გაწეულ ყველა სახის ხარჯს. მასში არ შედის ხარჯები, რომლებიც არ ემსახურება საქონლისა და მომსახურების შექმნას, კონკრეტულად:

- ა) გადასახადებისა და ვალდებულებების დაფარვას, რაც არ შედის ვიზიტორის მიერ შექმნილი პროდუქტის გასაყიდ ფასში;
- ბ) ნებისმიერი სახის პროცენტს, მათ შორის ხარჯებზე, რომლებიც გაიწევა მოგზაურობის დროს ან მოგზაურობისთვის მზადების პერიოდში;
- გ) ფინანსური და არაფინანსური აქტივების შექმნას, მათ შორის მიწისა და უძრავი ქონების ჩათვლით, თუმცა ძვირფასეულობის გამოკლებით;
- დ) საქონლის შექმნას მეორეული გაყიდვის მიზნით, იქნება ეს მესამე მხარის სახელით (მწარმოებლები ან სხვა პირები) თუ საკუთარი ანგარიშით;
- ე) ყველანაირ გზავნილს ნაღდ ფულში, როგორებიცაა საქველმოქმედო ორგანიზაციებისა თუ სხვა პირებისთვის (ძირითადად, ოჯახი და ნათესავები) საჩუქრები, ვინაიდან ისინი არ შეესაბამებიან საქონლისა და მომსახურების შექმნას.

საცხოვრებლის, უძრავი ქონების ყიდვა, მათ კაპიტალურ რემონტსა და არსებით გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ხარჯები

ეროვნულ ანგარიშთა სისტემისა და საგადასახადო ბალანსის მიხედვით მიიჩნევიან კაპიტალურ ხარჯებად, მაშინაც კი, როცა შინამეურნეობა ყიდულობს მათ, ამასთან, ისინი არ შეესაბამებიან მოხმარების კონცეფციას. რეკომენდებულია მათი ამოღება ტურიზმის ხარჯებიდანაც. დასასვენებელ სახლებთან დაკავშირებული ხარჯები, რომლებსაც, როგორც წესი, იხდის მფლობელი, როგორც მომსახურების მწარმოებელი, უნდა გამოირიცხოს ტურიზმის ხარჯებიდან.

ტურისტული ხარჯების განხორციელებისას დიდი მნიშვნელობა აქვს დროს, ვინაიდან ხშირად ტრანსპორტი, განთავსება და სხვ. იჯავშნება და იყიდება ამ მომსახურების ფაქტორივ მოხმარებამდე დიდი ხნით ადრე. შესაძლოა, გადახდა მოხდეს მოხმარების შემდეგ საკრედიტო ბარათით ან ამ მიზნისთვის აღებული სპეციალური სესხით.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის აგების წესების მიხედვით, შინამეურნეობის საბოლოო მოხმარებად ითვლება არა შესყიდვის, არამედ საქონელზე საკუთრების უფლების გადაცემის ან მომსახურების განევის მომენტი. იგივე წესები მოქმედებს ტურისტულ ხარჯებთან მიმართებითაც: მოხმარების ხარჯები სატრანსპორტო მომსახურებაზე ჩაითვლება უშუალოდ ტრანსპორტირებისას, განთავსების საშუალებებზე განეული ხარჯები – უშუალოდ განთავსების ადგილზე ყოფნისას, ტურისტული სააგენტოების მომსახურებაზე განეული ხარჯები გაითვალისწინება, როცა ისინი დაჯავშნიან ტურისტულ მომსახურებებს და ასე შემდეგ.

საქონელსა და მომსახურებაზე განეული ყველა ხარჯი ტურისტული მოგზაურობის განმავლობაში არის ტურისტული ხარჯების ნაწილი.

გარდა ამისა, ტურისტული მოგზაურობის დაწყებამდე განეული ხარჯი ყველანაირ მომსახურებაზე, რომლებიც უკავშირდება გამგზავრებას (მაგალითად საპასპორტო მომსახურება, სამედიცინო შემოწმება, ტურისტული სააგენტოს ხარჯი და სხვ.), მიეკუთვნება ტურისტულ ხარჯებს. ამასთან, ყველა საქონელი, შეძენილი გამგზავრებამდე, რაც მიზნობრივი ხასიათის იყო (სპეციალური ტანსაცმელი, მედიკამენტები და სხვ.) ითვლება ტურისტულ ხარჯებში, მათთან ერთად სასაჩუქრედ განკუთვნილი საქონელიც.

მიუხედავად იმისა, რომ ტურიზმის ხარჯები ყოველთვის დაკავშირებულია მოგზაურობაში მყოფ ან ჩვეული გარემოს გარეთ მოგზაურობის მსურველ ადამიანებთან, საქონლისა და მომსახურების შეძენა შესაძლოა ვიზიტორის ჩვეულ გარემოში და სხვა ნებისმიერ მონახულების ადგილას ყოფნის განმავლობაში. ეს შესაძლოა, დამოკიდებული იყოს შეძენილი საქონლისა და მომსახურების ბუნებაზე (მოგზაურობისათვის საჭირო სანავი, ტურისტული სააგენტოების მომსახურებები და ა. შ.) ან ვიზიტორის ინდივიდუალურ და კონკრეტულ ქცევაზე (ზოგიერთი უპირატესობას ანიჭებს მოგზაურობაში

გამოსადეგი ტანსაცმლის, ხელსაწყოების ან სხვა საქონლის წინასწარ შეძენას, მაშინ, როცა სხვებს მოსწონთ ამ ყველაფრის მოგზაურობის დროს გაკეთება, როგორც მათი ტურისტული გამოცდილების ნაწილისა).

ტურიზმის ტიპების შესაბამისად შესაძლოა გამოვყოთ ტურიზმის ხარჯების სამი კატეგორია:

- ა) შიდა ტურიზმის ხარჯები – კონკრეტული ქვეყნის რეზიდენტი ვიზიტორის ხარჯები;
- ბ) შემომავალი ტურიზმის ხარჯები – კონკრეტული ქვეყნის არარეზიდენტი ვიზიტორების ხარჯები;
- გ) გამავალი ტურიზმის ხარჯები – კონკრეტული ქვეყნის გარეთ რეზიდენტი ვიზიტორების მიერ განეული ხარჯები.

აღსანიშნავია, რომ კონკრეტულ მოგზაურობასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი არ ხვდება ერთ კატეგორიაში: შიდა და გამავალ ტურიზმთან დაკავშირებული ტურიზმის ხარჯები შეიძლება მოიცავდეს სხვა ქვეყნიდან იმპორტირებული საქონლის შეძენის ხარჯსაც, თუმცა ასეთი ხარჯების მიკუთვნება შიდა და გამავალ ტურიზმთან დაკავშირებული ხარჯებისთვის შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ეს საქონელი წარმოებული იქნება მითითებული ქვეყნის რეზიდენტი მწარმოებლის მიერ.

განსაკუთრებულ შემთხვევად ითვლება ეკონომიკურ ტერიტორიაზე რეზიდენტთათვის საქონლის მიწოდება არარეზიდენტი გადაამხდევების მიერ. ეს შემთხვევა ხაზგასმულია საგადაამხდელო ბალანსში და დიდი ალბათობით შესაძლოა წარმოიშვას „ღია ცის“ პოლიტიკის დროს. კიდევ ერთი პრობლემური შემთხვევაა, როცა შიდა მოგზაურობისათვის განკუთვნილი საქონელი შეძენილია ინტერნეტით საერთაშორისო მომწოდებლისგან. ამ შემთხვევაში არარეზიდენტის მიერ მოწოდებული მომსახურების შეძენა (ტრანსპორტირება და საცალო ვაჭრობის მომსახურება) უნდა ჩაითვალოს შიდა ტურიზმის ხარჯებში, რადგან არ ფიგურირებს სხვა ეკონომიკური ტერიტორია. კონცეპტუალური თანმიმდევრობის გამო ხარჯები, რომლებიც რეზიდენტისგან არარეზიდენტისკენ გადარიცხვებს გულისხმობს, ჩათვლილია გამავალი ტურიზმის ხარჯებში, მიუხედავად იმისა, რომ ვიზიტორი არ კვეთს გეოგრაფიულ საზღვარს.

შემომავალი (შემომსვლელი) ტურიზმის ხარჯები მოიცავს მხოლოდ მითითებულ ქვეყანაში განხორციელებულ შესყიდვებს. მითითებულ მოგზაურობასთან დაკავშირებული შემომავალი ტურიზმის ხარჯებისა და ამავე მოგზაურობის დროს სხვა ქვეყნების მიერ განხორციელებული ხარჯების შეკრება შესაძლოა, საინტერესო იყოს პოლიტიკის ფორმირებისთვის – შეადაროს მოგზაურობისას ტურისტული მთლიანი ხარჯები მითითებულ ქვეყანაში სხვა ქვეყნების ხარჯებს.

გამავალი ტურისტული ხარჯები მოიცავს არა გამავალი ვიზიტორების მიერ შექმნილი საქონლისა და მომსახურების ყველა ხარჯს, არამედ მხოლოდ იმათ, რომლებიც მითითებული ქვეყნის მიღმა არის განეული. მითითებულ ქვეყანაში გამსვლელი ვიზიტორების მიერ შექმნილი საქონლისა და მომსახურების შექმნა მიეკუთვნება შიდა ტურიზმის ხარჯებს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ტურიზმის ხარჯების კლასიფიკაცია შეგვიძლია შემდეგნაირადაც:

ა) შიდა ტურიზმის ხარჯი – შედგება რეზიდენტი და არარეზიდენტი ვიზიტორების ყველა ხარჯისაგან, რომლებიც გაინევა მითითებულ ქვეყანაში. ეს არის შიდა და შემომავალი ტურიზმის ხარჯთა ჯამი. მოიცავს აგრეთვე მითითებულ ქვეყანაში ხარჯს იმ იმპორტირებული საქონლისა და მომსახურებისას, რომლებიც მიეყიდება ვიზიტორებს. ეს ინდიკატორი მითითებული ქვეყნის ტურიზმის ხარჯების ყველაზე ამომწურავი საზომია;

ბ) ეროვნული ტურიზმის ხარჯი შედგება რეზიდენტი ვიზიტორების ყველა ხარჯისაგან მითითებულ ქვეყანაში და მის გარეთ. ეს არის შიდა და გამავალი ტურისტული ხარჯების ჯამი.

შეგვიძლია განვსაზღვროთ საერთაშორისო ტურიზმის ხარჯი, მაგრამ მას არ აქვს რეალური ეკონომიკური მნიშვნელობა, ვინაიდან ის იქნება მითითებულ ქვეყანაში არარეზიდენტი ვიზიტორების ხარჯისა (ექსპორტი) და ამავე ქვეყნის გარეთ რეზიდენტი ვიზიტორების ხარჯის (იმპორტი) ჯამი.

ტურისტული ხარჯების შეფასება დამოკიდებულია საქონლისა და მომსახურების შექმნის ფორმებზე. საბაზრო გარიგების შემთხვევაში შეფასება უნდა მოხდეს მყიდველის ფასით, რაც შეესაბამება ვიზიტორის მიერ გადახდილ საქონლის ერთეულის ღირებულებას. ეს ფასი უნდა შეიცავდეს ყველანაირ გადასახადს, როგორც სავალდებულო და ნებაყოფლობით ე. წ. „გასამრჯელოს“ ჩათვლით, რაც გავრცელებულია სასტუმროებსა და რესტორნებში. აუცილებლად გათვალისწინებულ უნდა იქნეს ფასდაკლებები არარეზიდენტებისათვის გაყიდვების გადასახადსა და დამატებითი ღირებულების გადასახადზე, მაშინაც კი, როცა ეს ხდება საზღვარზე, ვინაიდან ისინი ამცირებენ ვიზიტორთა მიერ გადახდილ ფაქტობრივ ფასს.

ტურისტული ხარჯების ინფორმაციული უზრუნველყოფისათვის რეკომენდებულია ხარჯთა კლასიფიკაციის გამოყენება მათივე მიზნების მიხედვით. ყველაზე გავრცელებული გზა ვიზიტორებისაგან მათსავე ხარჯებზე ინფორმაციის მისაღებად არის, ეთხოვით მათ, დააჯგუფონ თავიანთი ხარჯები მიზნების მიხედვით. ეს პროცესი უნდა განხორციელდეს მიზნების მიხედვით, ინდივიდუალური მოხმარების კლასიფიკაციის (COICOP) შესაბამისად.

ტურიზმის სტატისტიკაში ხარჯების ანალიზისათვის ხშირად გამოყენებული და რეკომენდებული კატეგორიებია:

1. კომპლექსური მოგზაურობები, დასვენებისათვის განკუთვნილი მომსახურების პაკეტები და კომპლექსური ტურები;
2. განთავსება;
3. საკვები და სასმელი;
4. ადგილობრივი ტრანსპორტი;
5. საერთაშორისო ტრანსპორტი;
6. რეკრეაციული, კულტურული და სპორტული ღონისძიებები;
7. საყიდლებისთვის სიარული (შოპინგი);
8. სხვა დანარჩენი.

საქონლისა და მომსახურების შეძენის ხარჯების დეტალური გამოკვლევისთვის რეკომენდებულია ამ ინფორმაციის ჯვარედინი კლასიფიკაცია ვიზიტორთა ან მოგზაური მხარეების მახასიათებლების და/ან მოგზაურობის (მოგზაურობის მიზანი, დანიშნულების ადგილი, მოგზაურობის ორგანიზება და სხვა) შესაბამისად. რეკომენდებულია, ქვეყნებს ჰქონდეთ ხარჯთა სპეციალური მოდული (ზომის ერთეული) შემომავალი ვიზიტორების დაკვირვებისათვის, იქნება ეს საზღვარზე თუ სხვა ნებისმიერ ადგილზე, სადაც შესაძლებელი იქნება მათზე დაკვირვება.

დაკვირვება საზღვარზე შესაძლებელია განხორციელდეს რეგულარულად (თვიურად, კვარტალურად, წლიურად), ან გარკვეულ პერიოდებში (მაღალი და დაბალი მოთხოვნის სეზონებზე). ზოგიერთ ქვეყანას შეუძლია, ასეთი ოპერაციების ჩატარების გადწყვეტილება მიიღოს დროთა განმავლობაში, თუმცა შესაბამისი ზომისა და ფორმატის ნიმუშის გამოყენებით, რათა შესაძლებელი იყოს მონაცემების ინტერპოლაცია და ექსტრაპოლაცია მოდელირების საფუძველზე. ანალოგიურად შესაძლებელია, დაკვირვება ჩატარდეს მხოლოდ რამდენიმე სასაზღვრო პოსტზე.

გახსნილი სახმელეთო საზღვრების შემთხვევაში იქმნება სიძნელებები საზღვარზე დაკვირვების ჩატარებისას. ამ დროს ზოგიერთ ქვეყანას შეუძლია, გამოიყენოს კოლექტიური განთავსების დაწესებულების სტუმრების კვლევისა და „სარკისებური სტატისტიკის“ კომბინაცია, რაც არის არარეზიდენტი ვიზიტორების მშობლიური ქვეყნიდან გამავალ ვიზიტორთა და გამავალი ტურიზმის ხარჯთა სტატისტიკა. ამას შესაძლოა, დაემატოს მონაცემთა სხვა წყაროები, მაგალითად, საკრედიტო ბარათების ოპერაციითა ამონაწერები.

რაც შეეხება შიდა და გამავალი ტურიზმის ხარჯებს, შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს სპეციალური შინამეურნეობათა კვლევა

ტურიზმის კუთხით ან შინამეურნეობათა ხარჯების კვლევაში შემავალი პერიოდული მოდული (თვიური, კვარტალური, წლიური). ეს კვლევა შეიძლება ჩატარდეს რეგულარულად. თუმცა, თუ მოხმარების მახასიათებლები მოკლევადიან პერიოდში შედარებით სტაბილურია, ასეთი კვლევა შესაძლოა ჩატარდეს შედარებით იშვიათად და დაუკავშირდეს პროცედურის რაიმე მოდელზე დაფუძნებულ შეფასებას, როგორც შემომავალი ტურიზმის ხარჯთა შემთხვევაში.

შიდა ტურიზმის ხარჯების გაზომვისას რეკომენდებულია, განისაზღვროს საქონლისა და მომსახურების მომწოდებელი ქვეყანა, რათა შემდგომში დადგინდეს ამ ქვეყანაში ვიზიტორთა მოძრაობასთან დაკავშირებული ეკონომიკური ეფექტი.

შეფასების ალტერნატიული მეთოდები შესაძლოა, ითვალისწინებდეს სხვადასხვა მაჩვენებლის (საბანკო ანგარიშთა სისტემები, საკრედიტო ბარათების ანგარიშები, ტურისტული სააგენტოების, კომპანიების ან სატრანსპორტო რეგულირების ორგანოების მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯები და სხვ.) გამოყენებას.

ვიზიტორებთან კონკრეტულ მოგზაურობაზე განეულ ხარჯებზე დანვრისებრი ინფორმაციის მონოდების თხოვნით მიმართვას სჭირდება განსაკუთრებული ყურადღება და სიფრთხილის უნარი, რათა მივიღოთ მაქსიმალურად ზუსტი მონაცემები, განსაკუთრებით გრძელვადიან პერიოდში.

ზოგიერთ ქვეყანაში ინფორმაცია შეგროვებულია შემცირებული რაოდენობის კატეგორიების მიხედვით მიზნის კლასიფიკაციასა და გადახდის მეთოდებთან კომბინაციაში. მაგალითად, ვიზიტორებისგან შესაძლოა, მივიღოთ ინფორმაცია მათი სასტუმროს და სხვა სახის გადასახადების მთლიანი მოცულობის შესახებ. ეს თანხა, განთავსების გარდა, შესაძლოა, მოიცავდეს საკვებს, სხვა მომსახურებებს, როგორებიცაა: სპა, ტელეფონი, სამრეცხაო და ა.შ. შესაბამისად, არ იქნება შესაძლებელი, განვაცალკევოთ ეს ქვედანაყოფები დამატებითი პროცედურების გარეშე.

ტურისტული ხარჯების ინფორმაციული უზრუნველყოფისათვის მნიშვნელოვანია, უფრო დეტალურად გამოვყოთ ვიზიტორთა ძირითადი მახასიათებლები, რათა შესაძლებელი იყოს ამ ინფორმაციის დაკავშირება ვიზიტორთა კომპლექსური ხარჯების სხვა სტატისტიკურ გაანგარიშებებთან და ამგვარად შეგროვებული მონაცემების გაფართოება.

ვინაიდან ვიზიტორთა მიერ საქონლისა და მომსახურების შეძენა ვიზიტორისა და მიმწოდებლის რეზიდენტი ქვეყნის მიხედვით კლასიფიცირდება როგორც შიდა, გამავალ თუ შემომავალ ტურიზმთან დაკავშირებული ხარჯი, რეკომენდებულია, ცხადად განისაზღვროს თითოეული მათგანის საცხოვრებელი ადგილი. ეს ძალიან მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც შეძენა ხორციელდება მოგზაუ-

რობის დაწყებამდე, განსაკუთრებით საერთაშორისო ტრანსპორტის შემთხვევაში.

იმ ვიზიტორებისათვის, რომლებმაც შეიძინეს ტურისტული პაკეტი, ინფორმაცია უნდა შეგროვდეს მთლიანი გადახდილი თანხის მიხედვით, ტურისტული საგზურის კომპონენტებზე, ტუროპერატორის რეზიდენტ ქვეყანაზე, ტურაგენტზე, ვისგანაც შეიძინეს პაკეტი, ამასთან, განსხვავებული მიმნოდებლების (განსაკუთრებით საერთაშორისო ტრანსპორტის) რეზიდენტ ქვეყნებსა და ვიზიტორებზე.

ცხადად უნდა იყოს განსაზღვრული ქვეყანაში შესვლისას და დატოვებისას გამოყენებული ტრანსპორტის სახეები (გადამზიდებიც, როდესაც შესაძლებელია მათი რეზიდენტი ქვეყნის იდენტიფიკაცია), მაშინაც კი, როდესაც ასეთი ტიპის მომსახურება შედის ტურისტულ პაკეტში.

საერთაშორისო მეთოდოლოგია ტურისტული ხარჯების შესაფასებლად არ კრძალავს ვიზიტორთა ნაკადისა და მათი მახასიათებლების ხშირ გაზომვას (მაგალითად ყოველთვიურად), თუმცა, ასეთის არსებობის შემთხვევაში, მათი ხარჯების გამოკვლევის რეკომენდაციას იძლევა პერიოდთან მიმართებით (მაგალითად, ყოველ ორ ან ხუთ წელიწადში ერთხელ). ამ შემთხვევაში ტურისტული ხარჯები მიმდინარე პერიოდში შესაძლოა, აღირიცხოს და გაანალიზდეს დამატებითი კვლევებით, არსებულის ექსტრაპოლაციით, ფასების ინდექსებით მოდელირებულ ვიზიტორთა ხარჯების გამოყენებით და სხვ.

მნიშვნელოვანია, ნათლად განვსაზღვროთ არა მხოლოდ ვიზიტორის მიერ საკუთარი წყაროებიდან განეული ხარჯები, არამედ გამოგყოთ სხვა პირების მიერ ვიზიტორის ინტერესების შესაბამისად განეული ხარჯებიც.

ტურიზმის ხარჯების უმეტეს ნაწილს შინამეურნეობათა საბოლოო მოხმარება შეადგენს. თუმცა ზოგიერთი ხარჯი არ ეკუთვნის საბოლოო მოხმარებას, მაგალითად: ბიზნეს- და პროფესიონალური მოგზაურობების განმავლობაში განთავსებასა და ტრანსპორტირებაზე ვიზიტორთა მიერ განეული ხარჯები, რომელთაც ეროვნულ ანგარიშთა სისტემა მიაკუთვნებს დამსაქმებლის მიერ განეულ შუალედურ ხარჯს. ეს მოქმედებს, აგრეთვე, ძვირფასეულობის შექმნაზეც, რაც არ ითვლება შინამეურნეობათა საბოლოო მოხმარების ხარჯად.

ვიზიტორთა მიერ მოგზაურობის დროს შექმნილი ძვირფასეულობები და გრძელვადიანი მოხმარების საგნები შეადგენს ტურისტული ხარჯების ნაწილს, მიუხედავად მათი ერთეულის ფასისა. მაგრამ ის საქონელი, რომლის ღირებულებაც აჭარბებს ქვეყნის მიერ დადგენილ ზღვარს, უნდა მიეკუთვნოს საქონლით ვაჭრობის კატეგორიას, საგადამხდელო ბალანსისა და ეროვნული ანგარიშების შედგენის მიზნით. ამგვარად, ეს საქონელი უნდა გამოირიცხოს მი-

თითებული ქვეყნის არარეზიდენტთა ან საზღვარგარეთ მყოფ რეზიდენტთა ტურისტული ხარჯებიდან.

გარდა ზემოაღნიშნულისა, გასათვალისწინებელია, რომ:

შეიძლება იყოს ხარჯების დუბლირებული აღრიცხვა.

ზოგიერთი ტურისტული ხარჯისთვის დასაშვებია, ქვეყანამ შემოიღოს ეკვივალენტურობის სკალა, რაც საკმაოდ აპრობირებულია თანამედროვე პრაქტიკაში შინამეურნეობების ბიუჯეტის ანალიზისას. აღსანიშნავია, რომ ჯგუფურად და ინდივიდუალურად მოგზაურობის ხარჯების აღრიცხვისას შეიძლება დაფიქსირდეს ხარჯების დონის შემცირება როგორც განთავსების (რამდენიმე ადამიანის მიერ ოთახის გაზიარება), ისე ტრანსპორტირების შემთხვევაში (რამდენიმე ადამიანის მიერ მანქანის, რკინიგზის ან სხვა საჯარო ტრანსპორტის გადასახადის გაზიარება).

გასათვალისწინებელია, რომ ტურისტული ხარჯების შესახებ ინფორმაცია უნდა იყოს მოპოვებული ვიზიტორთა მიერ მონახულებული ადგილებიდან და ყველა შემთხვევაში იქ ყოფნის საშუალო ხანგრძლივობასთან კავშირში.

ვიზიტორთა ტურისტული პროდუქტის მოთხოვნისა და მიწოდების ანალიზისათვის რეკომენდებულია, მოპოვებულ იქნეს ინფორმაცია როგორც მთლიან ტურისტულ ხარჯებზე, ისე მის სტრუქტურაზე.

უცხოელი ვიზიტორების ტურისტული ხარჯების სტატისტიკური კვლევის მეთოდოლოგიური საკითხები

ტურისტული ხარჯები ტურისტული ბაზრის მონიტორინგის მაჩვენებლებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია, ამიტომ წინამდებარე გამოკვლევაში მიზნად დავისახეთ თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტებში ტურისტების მიერ განხულებული ხარჯების შესახებ ინფორმაციის მოძიება განთავსების, კვების, ტრანსპორტირების, რეკრეაციული, კულტურული, სპორტული საქმიანობის, მაღაზიების მონახულებისა და სხვ. ქრილების მიხედვით. აგრეთვე, კვლევა ითვალისწინებდა საერთაშორისო ტურიზმში განხულებული ხარჯების დიფერენცირებას დროისა და ადგილის, ასევე დანიანების წყაროების მიხედვით, რამაც უზრუნველყო ოჯახური, სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებული, სოციალური, წამახალისებელი და პრემიალური ტურიზმის შესახებ ინფორმაციის სრული პაკეტის ფორმირება.

კვლევის ჩასატარებლად დავეყრდენით ტურიზმის სტატისტიკის საერთაშორისო მეთოდოლოგიურ პრინციპებს. შერჩევის ხერხებიდან გამოვიყენეთ შერეული მეთოდი, რომელიც გულისხმობს საკუთრივ შემთხვევითი და პროპორციული შერჩევის წესებს, რადგან საკუთრივ შემთხვევითი მეთოდი ყველაზე მიუკერძოებელ შედეგებს უზრუნველყოფს, ხოლო პროპორციული მეთოდი ყველაზე

მისანვდომია პროექტის რესურსების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს აეროპორტებიდან საერთაშორისო შემომსვლელი ვიზიტორების მოუნესრიგებელი პოპულაციიდან (შერჩევის ბაზა) სრულიად შემთხვევითი პრინციპით გარკვეული ნაწილის შერჩევას და მის პროპორციულ განაწილებას ჩვენთვის სასურველი ნიშნის (განეული ხარჯების) მიხედვით ქალაქებს შორის.

ფრიად მნიშვნელოვანი იყო ტურიზმის სფეროში სტატისტიკური დაკვირვების ინსტრუმენტარის მომზადება, რაც გულისხმობდა შესაბამისი კითხვარის დიზაინს, შევსების ინსტრუქციას, დაკვირვების ჩატარების ადგილის, ვადების, მათი მიღების ფორმების, წესებისა და ა.შ. განსაზღვრას. 16 კითხვისაგან შემდგარი ანკეტა მოიცავდა რესპონდენტთა სქესის, ასაკის, სამუშაო სტატუსის, მოქალაქეობის, საქართველოში ვიზიტებისა და გატარებული ღამეების რაოდენობის, განთავსების საშუალებების ტიპის, ჩამოსვლის მიზნის, სატრანსპორტო საშუალების სახეობის, მონახულებადი ადგილების, ტურისტული პაკეტის სახეობის, ფასის, განეული ხარჯების და ა.შ. შესახებ კითხვებს.

რესპონდენტთა გამოკითხვა ხდებოდა რუსულ და ინგლისურ ენებზე შედგენილი ანკეტის საფუძველზე. (ქვემოთ იხ. ანკეტა სამივე ენაზე).

უცხოელი ტურისტების კვლევა საქართველოს აეროპორტებში

აპრილი – სექტემბერი, 2016

ინტერვიურს: წაუკითხეთ თითოეულ რესპონდენტს!

გამარჯობა, მე ვარ _____ (უთხარით **სახელი და გვარი**). ჩვენ ვატარებთ კვლევას თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დაკვეთით. გთხოვთ, დამითმოდ რამდენიმე წუთი ინტერვიუსთვის, რომელიც შეეხება საქართველოში თქვენს ვიზიტს. თქვენი პასუხების კონფიდენციალობა სრულად იქნება დაცული და დაგვეხმარება ტურიზმის სტატისტიკის ინფორმაციულ სრულყოფასა და, ასევე, საქართველოსთვის ტურიზმის ეკონომიკური სარგებლის შეფასების გაუმჯობესებაში.

ინტერვიუ გაგრძელდება დაახლოებით 10-15 წუთს.

ინტერვიუს ადგილი: _____

ინტერვიუს ჩატარების თარიღი: _____ / _____

რიცხვი თვე

Q0. რესპონდენტის ასაკი: (მონიშნეთ მე-2 სვეტში)

1	2
20 – 30	Q 0.1
31 – 40	Q 0.2
41 – 50	Q 0.3
51 – 60	Q 0.4
61 – 70	Q 0.5
71 და ზევით	Q 0.6

Q1. რესპონდენტის სქესი: (მონიშნეთ მე-2 სვეტში)

ქალი	Q 1.1
კაცი	Q 1.2

Q2 რესპონდენტის სამუშაო სტატუსი: (მონიშნეთ ერთი პასუხი მე-2 სვეტში)

დაქირავებული მუშაკი	Q 2.1
თვითდასაქმებული	Q 2.2
ბიზნესის მფლობელი, რომელიც სხვებს ასაქმებს	Q 2.3
პენსიონერი	Q 2.4
უმუშევარი	Q 2.5
დიასახლისი/უფასოდ მომუშავე ოჯახში	Q 2.6
სტუდენტი	Q 2.7
სხვა	Q 2.8
უარი პასუხზე	Q 2.9

Q 3. რესპონდენტის მოქალაქეობა (ერთი პასუხი) -----

Q 4. რომელ ქვეყანაში ცხოვრობთ ამჟამად? (ერთი პასუხი)

თუ რეზიდენტობის ქვეყანა არის საქართველო, მაშინ შეწყვიტეთ გამოკითხვა.

თუ რეზიდენტობის ქვეყანა არ არის საქართველო, გადადით კითხვაზე Q5.

Q 5. გთხოვთ მითხრათ, ხართ თუ არა საქართველოში არსებული რომელიმე საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი, საავადმყოფოს პაციენტი ან მათი ოჯახის წევრი?

დიახ	შენწყვეტეთ ინტერვიუ
არა	→ Q6

მოგზაურობა საქართველოში

Q6. გთხოვთ მითხრათ, არის თუ არა ეს თქვენი პირველი ვიზიტი საქართველოში?

დიახ	Q 6.1
არა	Q 6.2

Q7. ახლანდელი ვიზიტის დროს გაატარეთ თუ არა ღამე საქართველოში? თუ „დიახ“ – რამდენი ღამე გაატარეთ სულ? (ყურადღება მიაქციეთ, რომ ჩვენ გვინტერესებს საქართველოში გატარებული ღამეების, და არა დღეების, რაოდენობა) (ერთი პასუხი) _____
(ჩაინერეთ ღამეების რაოდენობა. თუ რესპონდენტს არცერთი ღამე არ გაუთევია საქართველოში, დაწერეთ „0“)

Q8 გთხოვთ მითხრათ, ვისთან ერთად იმოგზაურეთ საქართველოში ამჟამინდელი მოგზაურობისას? (დასაშვებია რამდენიმე პასუხი)

	ადამიანების რაოდენობა
Q8.1 მარტო	
Q8.2 ნათესავებთან ან ოჯახის წევრებთან ერთად	
Q8.3 მეგობრებთან ერთად	
Q8.4 თანამშრომლებთან/კოლეგებთან ერთად	
Q8.5 ტურისტების ჯგუფთან ერთად	
Q8.6 სხვა (მიუთითეთ)	

Q9. გთხოვთ მითხრათ, ახლანდელი ვიზიტისას განთავსების რომელი საშუალებით ისარგებლეთ? (დასაშვებია რამდენიმე პასუხი)
გთხოვთ მითხრათ, რამდენი ღამე გაათიეთ თითოეულ განთავსების საშუალებაში?

	ღამეების რაოდენობა
Q 9.1 ღამე არ გამითევია	
Q 9.2 სასტუმრო	

Q 9.3 საოჯახო ტიპის სასტუმრო, „გესტჰაუსი“, ახალგაზრდული ჰოსტელი, ჯგუფური განთავსების საშუალებები, სკოლის საძინებელი კორპუსი	
Q 9.4 „კემპი“, ბანაკი, კარავი, ტრაილერების პარკი, სამუშაო და დასასვენებელი ბანაკები, საზოგადოებრივი სატრანსპორტო საშუალებები დასაძინებელი მონყობილობებით	
Q 9.5 საავადმყოფო ან სამედიცინო კლინიკა, სამკურნალო დაწესებულება	
Q9. 6 ოჯახში ნაქირავები ოთახი, ნაქირავები სახლი/ბინა	
Q 9.7 საკუთარი სახლი/ბინა (რომელშიც არ იხდის თანხას)	
Q 9.8 მეგობრის ან ნათესავის კერძო ბინა (რომელშიც არ იხდის თანხას)	
Q 9.9 სხვა (მიუთითეთ)	

Q10 რა იყო საქართველოში თქვენი ჩამოსვლის ძირითადი მიზანი? (მონიშნეთ ერთი)

დასვენება, გართობა, რეკრეაცია (ღირსშესანიშნაობების/ბუნების/ლანდშაფტის მონახულება, სპორტულ ღონისძიებებზე დასწრება, სპორტით დაკავება (თხილამურებზე სრიალი, ჯირითი, ყვინთვა, ლაშქრობა, კლდეზე ცოცვა და სხვ.) როგორც არაპროფესიული აქტივობა, პლაჟებზე, საცურაო აუზებზე ან ნებისმიერ დასვენებისა და გართობის ადგილებში სიარული, აზარტული თამაშების თამაში, ზაფხულის ახალგაზრდულ ბანაკებში დასვენება, კარვებით დასვენება და ა.შ).	Q10.1
მეგობრების/ნათესავების მონახულება (მეგობრებისა და ნათესავების მონახულება, ქორწილებზე, გასვენებებზე ან სხვა ოჯახურ ღონისძიებებზე დასწრება, მოხუცებულის ან ავადმყოფის მოვლა ხანმოკლე დროის განმავლობაში და სხვ.).	Q10.2
განათლების მიღება (საგანმანათლებლო ტრენინგებზე დასწრება, კვალიფიკაციის ამაღლება, გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა).	Q10.3
მკურნალობა, გაჯანსაღება (საავადმყოფოში ჯანმრთელობის გაუმჯობესების ან სამედიცინო მომსახურების მიღების მიზნით ვიზიტი).	Q10.4
რელიგია/მომლოცველობა (რელიგიური ადგილების მონახულება/მომლოცვა, მისიონერობა, ან ვიზიტი რაიმე სხვა რელიგიური მიზნით).	Q10.5

„შოპინგი“, საქონლის შეძენა პირადი მოხმარებისთვის (სამომხმარებლო საქონლის ყიდვა პირადი მოხმარებისთვის ან საჩუქრად, გარდა შემდგომი გაყიდვის მიზნით შეძენისა).	Q10.6
ტრანზიტი სხვა ქვეყანაში გადასასვლელად.	Q10.7
პროფესიული/ეკონომიკური საქმიანობა (საქმიან შეხვედრებზე, კონფერენციებზე, სავაჭრო გამოფენა-გაყიდვებზე დასწრება, ლექციების ჩატარება, კონცერტებში, შოუებსა და სპექტაკლებში მონაწილეობის მიღება, მეცნიერულ ან აკადემიურ კვლევებში მონაწილეობა, პროფესიონალურ სპორტულ აქტივობებში მონაწილეობა, ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება შემოსავლის/სარგებლის მიღების მიზნით (მაგ.: პროდუქტების გაყიდვა, საქონლის ყიდვა შემდგომი გაყიდვის მიზნით და ა.შ.), ასევე საერთაშორისო ორგანიზაციის თანამშრომლების საქმიანი ვიზიტი).	Q10.8

Q11. გთხოვთ მითხრათ, რომელი სატრანსპორტო საშუალებით ჩამოხვედით საქართველოში? (ერთი პასუხი)

საქართველოს ავიახაზები	Q11.1
უცხოური ავიახაზები ჩანერეთ ავიაკომპანიის დასახელება _____	Q11.2
სარკინიგზო ტრანსპორტი	Q11.3
სახმელეთო ტრანსპორტი (სარკინიგზოს გარდა)	Q11.4
საზღვაო ტრანსპორტი	Q11.5

Q12. გთხოვთ მითხრათ, ახლანდელი ვიზიტისას საქართველოს რომელი ტერიტორიები, ღირსშესანიშნაობები და გასართობი ადგილები მოინახულეთ? (დასაშვებია რამდენიმე პასუხი, იმ შემთხვევაში, თუ რესპონდენტი გისახელებთ რეგიონს; სთხოვთ, დააკონკრეტოს ქალაქი, დაბა ან სოფელი). გთხოვთ მითხრათ, რამდენი ღამე გაატარეთ თითოეულ ტერიტორიაზე? (ჩანერეთ რაოდენობა) თუ რესპონდენტს რომელიმე ტერიტორიაზე ღამე არ გაუთევია, ჩანერეთ „0“.

	ღამეების რაოდენობა
Q12.1 ანაკლია	
Q12.2 ბაკურიანი (კობტაგორა, დიდველი)	
Q12.3 ბათუმი (კვარიათი, ბოტანიკური ბაღი, გონიოს ციხესიმაგრე)	
Q12.4 ბორჯომი (ლიკანი, მინერალური წყლები, მწვანე მონასტერი, ტიმოთესუბანი, ეროვნული პარკი)	

Q12.5 ბოლნისი (ბოლნისის სიონის მონასტერი)	
Q12.6 დმანისი (დმანისის მუზეუმი, არქეოლოგიური მონუმენტი)	
Q12.7 გორი (სტალინის მუზეუმი, გორის ციხესიმაგრე)	
Q12.8 გუდაური	
Q12.9 ყაზბეგი (გერგეთის სამების ეკლესია)	
Q12.10 ქობულეთი	
Q12.11 ქუთაისი (გელათის მონასტერი, ბაგრატის ტაძარი, წყალტუბოს გამოქვაბულები)	
Q12.12 ყვარელი (ნეკრესი, ყვარლის ტბა, ილია ჭავჭავაძის მუზეუმი)	
Q12.13 ლაგოდეხი (ეროვნული ნაკრძალი)	
Q12.14 მარნეული	
Q12.15 მესტია და უშგული	
Q12.16 მცხეთა (სვეტიცხოველი, ჯვრის მონასტერი, არმაზის ციხესიმაგრე, სამთავრო, პომპეის ხიდი)	
Q12.17 რუსთავი	
Q12.18 სიღნაღი (ბოდბის მონასტერი)	
Q12.19 თელავი (ერეკლე მეფის მუზეუმი და სასახლე, წინანდალის სასახლე)	
Q12.20 თბილისი	
Q12.21 ურეკი	
Q12.22 ზუგდიდი (დადიანის სასახლე)	
Q12.23 სხვა (მიუთითეთ)	

Q13. გთხოვთ მითხრათ, შეიძინეთ თუ არა ტურისტული პაკეტი ტურისტულ სააგენტოში ამ მოგზაურობისათვის? თუ დიახ, – ეს ტურისტული პაკეტი ქართული კომპანიისგან შეიძინეთ თუ უცხოური ტურისტული სააგენტოსგან?

არ მიყიდა ტურისტული პაკეტი (გადადით Q15-ზე)	Q 13.0
ქართული ტურისტული სააგენტო/ტუროპერატორი (გადადით Q14-ზე)	Q 13.1
უცხოური ტურისტული სააგენტო/ტუროპერატორი (მაგალითად, ტურისტის მშობლიურ ქვეყანაში) (გადადით Q14-ზე)	Q 13.2

Q14. გთხოვთ მითხრათ, რამდენი გადაიხადეთ თქვენს ტურისტულ პაკეტში? რომელ ვალუტაში? საქართველოში გატარებულ რამდენ ღამეს ფარავდა ეს პაკეტი? რამდენ ადამიანს მოიცავს ეს თანხა თქვენი ჩათვლით?

Q14.1 საფასური	
Q14.2 ვალუტა	
Q14.3 ღამეების რაოდენობა	
Q14.4 ადამიანების რაოდენობა	

Q15. გთხოვთ მითხრათ, რამდენი გადაიხადეთ თქვენ/ სხვებმა თქვენს განთავსების საშუალებაში? (განთავსების საშუალების საფასურის გამოკლებით, რომელსაც მოიცავდა თქვენი ტურისტული პაკეტი)?

Q15.1 საფასური	
Q15.2 ვალუტა	
Q15.3 ღამეების რაოდენობა	
Q15.4 ადამიანების რაოდენობა	

Q16. გთხოვთ მითხრათ, ჯამში რამდენი დახარჯეთ საქართველოში ვიზიტისას თითოეული ტიპის ხარჯის ჩათვლით, **გარდა ტურისტული პაკეტის საფასურისა?**

	დანახარჯის ტიპი	ოდენობა	ვალუტა
Q16.1	რეკრეაცია, კულტურული და სპორტული აქტივობები		
Q16.2	საყიდვები (გარდა კომერციული შესყიდვებისა, ასევე სამომხმარებლო ნივთებისა, რომელთა ფასიც არის 180 დოლარი ან მეტი)		
Q16.3	კომერციული შესყიდვები (საქონლის შეძენა შემდგომი რეალიზაციის მიზნით)		
Q16.4	საერთაშორისო ტრანსპორტი		
Q16.5	ადგილობრივი ტრანსპორტი		
Q16.6	სამომხმარებლო ნივთების შეძენა (კომპიუტერი, მანქანა, ნავი და ა.შ.)		
Q16.7	ძვირფასი ნივთების შეძენა (ნახატი, ხელოვნების ნიმუში, სამკაული და ა.შ.)		
Q16.8	უძრავი ქონების შეძენა (სახლი, ბინა, მიწა) (არა ტურისტული ხარჯები)		
Q16.9	კვებისთვის გაწეული ხარჯი		
Q16.10	სხვა ხარჯები (მიუთითეთ)		

გმადლობთ მონაწილეობისთვის!

Обследование зарубежных визитеров в аэропортах Грузии

Апрель – Сентябрь, 2016

Интервьюеру: прочтите приведенный ниже текст каждому респонденту!

Здравствуйте, Я _____ (назовите имя и фамилию). Мы проводим обследование по заказу факультета экономики и бизнеса Тбилисского государственного университета имени Иванэ Джавахишвили. Просим Вас уделить несколько минут для интервью, которое касается Вашего визита в Грузию. Предоставленная Вами информация абсолютно конфиденциальна и поможет нам в совершенствовании статистических данных а также оценке экономического эффекта туризма в Грузии.

Интервью продлится 10-15 минут.

Место проведения интервью: _____

Дата проведения интервью: _____ / _____

Число/ месяц

Q0. Возраст респондента *(Обведите ответ во второй колонке)*

1	2
20 – 30	Q0.1
31 – 40	Q0.2
41 – 50	Q0.3
51 – 60	Q0.4
60 – 70	Q0.5
70 и больше	Q0.6

Q1. Пол респондента *(Обведите ответ во второй колонке)*

женский	Q1.1
мужской	Q1.2

Q2. Статус экономической активности респондента *(обведите только один ответ во второй колонке)*

Наемный рабочий	Q2.1
-----------------	------

Самозанятый (предприниматель, хозяйственник без нанятых лиц или лицо, занятое профессиональной деятельностью)	Q2.2
Имеющий свое дело (работодатель, наниматель)	Q2.3
Пенсионер	Q2.4
Безработный	Q2.5
Домохозяйка/работающий в семье без вознаграждения	Q2.6
Студент	Q2.7
Другое (укажите) _____	Q2.8

Q3. Скажите, пожалуйста, гражданином (кой) какой страны Вы являетесь? **(Укажите один ответ)** -----

Q4. Скажите, пожалуйста резидентом какой страны Вы являетесь? **(Укажите один ответ)** -----

Интервьюеру: Если страна гражданства и страна проживания Грузия, завершите интервью.

Если страной гражданства не является Грузия, продолжайте интервью, в остальных случаях перейдите на вопрос Q5

Q5. Скажите, пожалуйста, являетесь/являлись ли Вы студентом (кой) грузинского образовательного учреждения, пациентом (кой) больницы, функционирующей в Грузии, или членом их семьи?

Да	завершите интервью
Нет	перейдите на вопрос Q6

Путешествие по территории Грузии

Q6. Скажите, пожалуйста, это Ваш первый визит в Грузию?

Да	Q6.1
Нет	Q6.2

Q7. В течение этого визита, провели ли вы ночь в Грузии? Если да, скажите, пожалуйста, сколько ночей в целом Вы провели в Грузии в течение этого визита? **(Учтите, пожалуйста, что мы интересуемся только количеством ночей, а не дней проведенных в Грузии)** ----- **(Напишите количество ночей. Если респондент не провел ни одной ночи, напишите <0>)**

Q8. Скажите, пожалуйста, с кем Вы прибыли в Грузию во время этого визита? **(Обведите все возможные ответы)**

Один/одна	Q8.1
С семьей/родственниками	Q8.2
С друзьями	Q8.3
С сотрудниками/коллегами	Q8.4
С группой туристов	Q8.5
Q8.6 Укажите число сопровождающих вас людей	

Q9. Скажите, пожалуйста, какие типы жилья вы использовали в течение этого визита? (*ВОЗМОЖНО НЕСКОЛЬКО ОТВЕТОВ*).

Не провел (а) ночь	Q9.1
Отель	Q9.2
Гестхауз, Пансион, хостел, помещение для размещения групп, спальное здание кампуса	Q9.3
„Кемп“, лагерь, палатка, стоянка грузовиков, трудовые лагеря и базы отдыха, общественный транспорт со средствами для сна	Q9.4
Больница или медицинская клиника, медицинское учреждение	Q9.5
Арендованная комната в семье Арендованный дом/квартира	Q9.6
Частный дом / квартира (за что Вы не платите)	Q9.7
Частная квартира друга или родственника (за что Вы не платите)	Q9.8

Q10 Скажите, пожалуйста, что является основной целью Вашего нынешнего визита? (*Укажите один ответ*)

Отдых, развлечение, рекреация	Q10.1
Посещение друзей/родственников	Q10.2
Получение образования	Q10.3
Лечение, оздоровление	Q10.4
Религия	Q10.5
<Шопинг>, приобретение товаров для личного потребления	Q10.6
Транзит для перехода в другую страну	Q10.7
Профессиональная/экономическая деятельность	Q10.8

Q11. Скажите, пожалуйста, каким средством транспорта Вы приехали в Грузию? (*Обведите один ответ*)

Грузинские авиалинии (Airzena, FlyGeorgia и др.)	Q11.1
--	-------

Другие (негрузинские) авиалинии <i>Укажите название авиалинии _____</i>	Q11.2
Железнодорожный транспорт	Q11.3
Сухопутный транспорт (кроме железнодорожного)	Q11.4
Морской транспорт	Q11.5

Q12. Скажите пожалуйста, какие территории, достопримечательности и места развлечения посетили в течение этого визита в Грузии? *(Возможно несколько ответов, если респондент назовет регион, попросите определить город, деревню или район) .*

Анаклия	Q12.1
Бакуриани (Кохтагора, Дидвели)	Q12.2
Батуми (Квариати, ботанический сад, крепость Гонио)	Q12.3
Боржоми (Ликани, минеральные воды, Зеленый (Мцване) монастырь, Тимотесубани, Национальный парк)	Q12.4
Болниси (Монастырь Болнисского Сиони)	Q12.5
Дманиси (Дманисский музей, археологический монумент)	Q12.6
Гори (Дом музей Сталина, Горийская крепость)	Q12.7
Гудаури	Q12.8
Казбеги (Храм Святой Троицы в Гергети)	Q12.9
Кобулет	Q12.10
Кутаиси (Гелатский монастырь, Храм Баграта, Пещеры Цхалтубо)	Q12.11
Кварели (Некреси, Кварельское озеро, музей Ильи Чавчавадзе)	Q12.12
Лагодехи (Национальный заповедник)	Q12.13
Марнеули	Q12.14
Мestia и Ушгули	Q12.15
Мцхета (Собор Светицховели, Джвари, крепость Армази, Самтавро, мост Помпея)	Q12.16
Рустави	Q12.17
Сигнаги (Бодбийский монастырь)	Q12.18
Телави (музей/дворец Царя Ираклия, Цинандальский дворец)	Q12.19
Тбилиси	Q12.20
Уреки	Q12.21
Зугдиди (Дворец Дадияни)	Q12.22
Другое (Укажите)	Q12.23

Q13. Скажите, пожалуйста, приобрели ли Вы (лично или с помощью третьих лиц) туристический пакет в туристическом агентстве для этого визита? Если да, приобрели ли Вы этот пакет в грузинском или другом туристическом агентстве?

Не приобретал туристический пакет (перейдите на Q15)	Q13.0
Приобрел (а) в Грузинском туристическом агентстве/у тур-оператора (перейдите на Q14)	Q13.1
Другое (негрузинское) туристическое агентство/тур-оператор (перейдите на Q14)	Q13.2

Q14. Скажите, пожалуйста, какая сумма была заплачена Вами или третьими лицами за этот туристический пакет/тур? (**Укажите пожалуйста в долларах США**) На какое количество людей, включая вас, предусмотрены расходы в данном пакете?

Q14.1 Стоимость	
Q14.2 Количество людей	

Q15. Скажите, пожалуйста, какая сумма была заплачена Вами или третьими лицами за ваше размещение? (**Укажите пожалуйста в долларах США**)

Q15.1 Стоимость	
Q15.2 Количество людей	

Q16. Укажите, пожалуйста, общую стоимость Ваших личных расходов во время этого визита в Грузию по каждой перечисленной категории (**Укажите пожалуйста в долларах США, Кроме стоимости туристического пакета**)

	Тип расхода	сумма
Q16.1	Рекреация, спортивные и культурные мероприятия	
Q16.2	Покупки (исключая коммерческие закупки, а также драгоценные предметы и предметы длительного пользования, стоимость которых составляет или превышает \$180)	
Q16.3	Коммерческие закупки (приобретение товара с целью его дальнейшей перепродажи)	
Q16.4	Местный транспорт	
Q16.5	Приобретение предметов длительного пользования (компьютер, машина, лодка и др.)	
Q16.6	Приобретение драгоценных предметов (картины, предметы искусства, драгоценности и др.)	

Q16.7	Приобретение недвижимости (дом, квартира, участок земли) (нетуристические расходы)	
Q16.8	Расходы на еду	
Q16.9	Другие расходы (укажите)	

Большое спасибо за участие!

Survey of Foreign Visitors in the Airports of Georgia

April – September, 2016

TO THE INTERVIEWER: READ THE TEXT BELOW TO EACH RESPONDENT!

Good morning/afternoon/evening, my name is _ _ _ _ _ , (TELL HIM/HER YOUR NAME) from Tbilisi State University, faculty of Economics and Business Administration. I wonder if you could spare me a few minutes to answer some questions related to your travel to and around Georgia. The information provided by you is confidential and will help to improve statistical information and evaluate the economic gain of Georgian tourism.

The interview will take about 10-15 minutes.

Place of the interview: _____

Date of the interview: _____ / _____

Day Month

Q0. Respondent's age: (Mark one answer in the second column)

1	2
20 – 30	Q0.1
31 – 40	Q0.2
41 – 50	Q0.3
51 – 60	Q0.4
60 – 70	Q0.5
70 and above	Q0.6

Q1. Respondent's sex: (Mark in the second column)

Female	Q1.1
Male	Q1.2

Q2. Respondent's working status: (Mark one answer in the second column)

Employee	Q2.1
Self-employed	Q2.2
Business owner, who hires others	Q2.3
Retired	Q2.4
Unemployed	Q2.5
Housewife/working without payment in the family	Q2.6
Student	Q2.7
Other	Q2.8

Q3. Respondent's country of citizenship (one answer) -----

Q4. Respondent's country of residence (one answer) -----

IF THE COUNTRY OF CITIZENSHIP IS GEORGIA, TERMINATE THE INTERVIEW, otherwise move to question **Q5**.

Q5. Please tell us, are you a student studying/studied at any educational institution in Georgia, hospital patient or a family member accompanying?

Yes	Terminate the interview
No	® Q6

TRAVELLING IN GEORGIA

Q6. Please, tell us, is this your first visit to Georgia?

Yes	Q6.1
No	Q6.2

Q7. How many nights did you spend in Georgia during the trip? -----

(if the respondent did not spend a night in Georgia, write "0") (CLARIFY THAT WE ARE INTERESTED IN THE NUMBER OF NIGHTS, NOT DAYS, SPENT IN GEORGIA)

Q8. Could you tell us who (and how many people) accompanied you during your visit to Georgia? (SEVERAL ANSWERS ARE PERMISSIBLE)

Alone	Q8.1
Family/Relatives	Q8.2
Friends	Q8.3
Co-workers/colleagues	Q8.4

Tourist group	Q8.5
Q8. Please specify the total number	

Q9. Please, tell us which types of accommodation you used (**SEVERAL ANSWERS ARE POSSIBLE**).

Did not spend a night	Q9.1.
Hotel	Q9.2.
Guesthouse, hostel, group accommodation, school dormitory	Q9.3.
Camp, tent, truck park, work and holiday camp, public transport with sleeping facilities	Q9.4.
Hospital or medical clinic, medical facility	Q9.5.
Rent room at a family, rent house/flat	Q9.6.
Private house/flat (for which you are not paying)	Q9.7.
Friend's or relative's private flat (for which you are not paying)	Q9.8.

Q10 Please, could you specify the main purpose of visiting Georgia? (**SINGLE ANSWER ONLY**)

Holiday, leisure, recreation	Q10.1
Visiting friends/relatives	Q10.2
Education or trainings	Q10.3
Health and medical Care	Q10.4
Religion/Pilgrimage	Q10.5
Shopping, buying goods with the aim of consumption	Q10.6
Transit on the way to another country	Q10.7
Business or professional	Q10.8

Q11. Please, tell us, which means of transport did you use to arrive in Georgia (**SINGLE ANSWER ONLY**)?

Georgian airlines	Q11.1
non-Georgian airlines Please, specify _____	Q11.2
Train	Q11.3
Land (excluding train)	Q11.4
Sea	Q11.5

Q12. Please, tell us which territories, sightseeing and entertainment places did you visit during the current trip (*Several answers are possible. If a respondent names a region, ask him/her to specify the city, small town or village*)?

Anaklia	Q12.1
Bakuriani (Kokhta Gora, Didveli)	Q12.2
Batumi (Kvariati, Botanical Garden, Gonio Fortress)	Q12.3
Borjomi (Likani Mineral Waters, Green Church, Timotesubani, National Park)	Q12.4
Bolnisi (Bolnisi Sioni Cathedral)	Q12.5
Dmanisi (Dmanisi Museum, archaeological monuments)	Q12.6
Gori (Stalin Museum, Gori Castle)	Q12.7
Gudauri	Q12.8
Kazbegi (Gergeti Trinity Church)	Q12.9
Kobuleti	Q12.10
Kutaisi (Gelati Monastery, Bagrati Church, Tskaltubo Cave)	Q12.11
Kvareli (Nekresi, Kvareli Lake, Ilia Chavchavadze Museum)	Q12.12
Lagodekhi (National Reserve)	Q12.13
Marneuli	Q12.14
Mestia and Ushguli	Q12.15
Mtskheta (Svetitskhoveli, Jvari Monastery, Armazi Castle, Samtavro, Pompei Bridge)	Q12.16
Rustavi	Q12.17
Sighnaghi (Bodbe Monastery)	Q12.18
Telavi (Museum and palace of King Erekle, Tsinandali Palace)	Q12.19
Tbilisi	Q12.20
Ureki	Q12.21
Zugdidi (Dadiani Palace)	Q12.22
Other (Please specify)	Q12.23

Q13. Please, specify how you planned the tour to Georgia

I did not have a package tour, I planned it myself (proceed with Q15)	Q13.1
The package was provided by Georgia-based travel agency / Tour operator (proceed with Q14)	Q13.2
The package was provided by non-Georgian Travel agency/Tour operator (for example, in the tourist's home country) (proceed with Q14)	Q13.3

Q14. Please, specify the amount of money you/others spent to purchase the tour in US dollars. How many people were covered by the tour cost?

Q14.1 Cost	
Q14.2 Number of people	

Q15. Please, specify how much have you/others paid for the accommodation? **(In US dollars)** How many people were covered by these expenses?

Q15.1 Cost	
Q15.2 Number of people	

Q16. Please, could you specify your expenses by following items **(in US dollars, excluding a package tour)**?

	Type of expenses	Amount
Q16.1	recreation, cultural and sporting activities	
Q16.2	Shopping (excluding commercial purchases, also purchases of consumer durable goods and valuables with the cost of 180\$ or more)	
Q16.3	Commercial purchases (purchase of goods with the aim of resale)	
Q16.4	Local transport	
Q16.5	Purchase of consumer durable goods (computers, cars, boats, etc.)	
Q16.6	Purchase of valuables (paintings, pieces of art, jewellery, etc.)	
Q16.7	Expenses to purchase real estate (house, flat, land) (Non tourist expenses)	
Q16.8	Food	
Q16.9	Other expenditures (<i>please specify</i>)	

Thank you for taking the time to complete this survey!

კვლევის საბოლოო შედეგები –

ტურისტული ხარჯების დიფერენციაციის სტატისტიკური

მაჩვენებლები

უცხოელ ვიზიტორთა კვლევამ მოიცვა 2016 წლის მაის-აგვისტოში საქართველოში საჭაერო ტრანსპორტით ჩამოსული უცხოელი ვიზიტორები. ამიტომ აუცილებელი ინფორმაციის შეგროვება და მისი თავმოყრა-დაჯგუფება განხორციელდა საქართველოს უმსხვილესი აეროპორტების მიხედვით.

ჩვენი გაანგარიშებისა და საპილოტე კვლევის საფუძველზე განისაზღვრა უცხოელ ვიზიტორთა რეპრეზენტაციული პოპულაცია, რომელმაც შეადგინა 2167 ადამიანი (ე.ი., შერჩევის ზომად განისაზღვრა 2167 ინტერვიუ). შერჩევის ბაზად გამოყენებულ იქნა 2016 წლის მაის-აგვისტოსათვის გადაყვანილ მგზავრთა ნაკადების მონაცემები თბილისის, ბათუმისა და ქუთაისის აეროპორტების თვითმფრინავების განრიგის, ფრენების საშუალო რიცხვისა და გაყიდული ბილეთების მიხედვით. (საერთაშორისო ფრენების ოფიციალურ განრიგზე დაყრდნობით განისაზღვრა თვის განმავლობაში ყოველდღიური, დღეგამოშვებით და ერთეული ფრენების რაოდენობა, გადაყვანილ მგზავრთა საშუალო რიცხვი, რის საფუძველზეც შენონილი საშუალო არითმეტიკულით მივიღეთ ზემოაღნიშნული რიცხოვნება).

აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად საგრანტო პროექტით შერჩევის ზომად განისაზღვრა 800 ინტერვიუ და ქალაქების მიხედვით რესპონდენტებისათვის განისაზღვრა შემდეგი კვოტები: 400 – თბილისი, 200 – ქუთაისი და 200 – ბათუმი. ამ კვოტების რეგიონებზე გადანაწილება მოხდა თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტებში ჩამოსული ვიზიტორების რიცხოვნობის პროპორციულად. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის მიმდინარეობისას საგრძნობლად გაიზარდა საერთაშორისო შემომსვლელი ტურისტული ნაკადების რაოდენობა და, შესაბამისად, გაიზარდა კვლევისათვის აუცილებელი გენერალური პოპულაციის მოცულობაც. ამიტომ აუცილებელი გახდა გაანგარიშებებში გარკვეული კორექტირების გათვალისწინება ოპტიმალური შერჩევითი პოპულაციის განსაზღვრისათვის. გავითვალისწინეთ დაგეგმილი რეისებისა და გაყიდული ბილეთების რაოდენობის ცვლილება, აგრეთვე მგზავრთა შორის საერთაშორისო გამსვლელი ვიზიტორების პროცენტული წილის მკვეთრი ზრდა, სეზონურობასთან დაკავშირებული პრობლემები და ივლისის თვეში სტამბულში განვითარებული ტრაგიკული მოვლენები. სწორედ ამის გამო გაიზარდა შერჩევის ზომა და შეიცვალა რესპონდენტ ვიზიტორთა გეოგრაფიული ადგილსამყოფელი, კერ-

ძოდ ქუთაისისა და ბათუმის აეროპორტებში გამოკვლეული უცხოელი ვიზიტორების რაოდენობის შემცირების ხარჯზე გავზარდეთ გამოსაკითხ რესპონდენტთა რაოდენობა თბილისში.

რესპონდენტები ინფორმირებულნი იყვნენ, რომ მიღებული პასუხები გამოყენებული იქნებოდა მხოლოდ განზოგადებული სახით სტატისტიკური კვლევის მიზნით, ამიტომ სრულად იქნა დაცული კონფიდენციალობის პირობა და შეგროვებული მონაცემები დამუშავდა ანალიტიკური მიზნებისთვის.

კვლევა ტარდებოდა სამეცნიერო გრანტით განსაზღვრული პერიოდის პირველი ორი ტრანშის მიხედვით ყოველთვიურად და მოიცავდა საქართველოში შემოსულ უცხოელ ვიზიტორებს, 15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობას, რომლებიც სამიზნე თვის განმავლობაში ესტუმრნენ საქართველოს (არსებული მეთოდოლოგიით მონაცემების განზოგადება ხდება სამიზნე თვეზე). შედეგების შეწონვა და იმპუტაცია ხორციელდება თითოეული კონკრეტული თვის მიხედვით.

სამივე აეროპორტიდან მიღებული მონაცემები პარალელურად ერთიან ბაზაში იტვირთებოდა და ანალიზდებოდა პროგრამების – „MS excel“-ისა და „SPSS 20“-ის – საშუალებით, სორტირების, ფილტრაციის, რეკოდირების, კროსტაბულაციის, ტიპოლოგიური, სტრუქტურული და ანალიზური დაჯგუფებების, ჯგუფური და კომბინაციური ცხრილების მომზადებისა და სხვადასხვა სტატისტიკური ინდიკატორის გამოთვლის საფუძველზე.

ჩატარებული კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხების შეჯამების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ განხორციელდა:

ტურიზმის ინფორმაციული უზრუნველყოფის წყაროების დეტალური დახასიათება; კვლევისათვის აუცილებელი პოპულაციის განსაზღვრა და ამ პოპულაციიდან შერჩევის წესების განსაზღვრა;

ტურიზმის სფეროში სტატისტიკური დაკვირვების ინსტრუმენტარის მომზადება (შესაბამისი კითხვარის მომზადება, მისი შევსების ინსტრუქცია, დაკვირვების ჩატარების ადგილი, ვადები, მათი მიღების ფორმები, წესები და ა.შ.);

კვლევის მასალის ეტაპობრივი შეტანა, სორტირება, ფილტრაცია, რეკოდირება, კროსტაბულაცია, ტიპოლოგიური, სტრუქტურული და ანალიზური დაჯგუფება, ჯგუფური და კომბინაციური ცხრილების მომზადება და სხვადასხვა სტატისტიკური მაჩვენებლების გამოთვლა ანალიზისათვის კომპიუტერული პროგრამა SPSS-ის გამოყენებით.

მნიშვნელოვანია, რომ კვლევის პროცესში: დაინერგა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ტურიზმის სტატისტიკის მეთოდოლოგია; შესწავლილ იქნა ტურისტული ხარჯების სტრუქტურა: ტე-

რიტორიული, გენდერული, ასაკობრივი, პროფესიული, განათლების, ეკონომიკური აქტივობის და სხვა ნიშნის მიხედვით.

უნდა ითქვას, კვლევა ორიენტირებული იყო იმაზე, რომ გაგვეჩვენა უცხოელი ვიზიტორების ხარჯების სტრუქტურა, ასევე ტურისტული კომპანიებისა და ტურისტული პროდუქტების კონკურენტუნარიანობა, რათა საჭიროების შემთხვევაში მომხდარიყო საჭირო რეკომენდაციების შემუშავება მათი საქმიანობის შემდგომი განვითარებისთვის.

ტურისტულ ხარჯებს ტურიზმის სტატისტიკურ ინდიკატორთა სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. განსაკუთრებით დიდია მათი როლი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის შეფასებაში. მსხვილ აეროპორტებში ჩატარებული კვლევა უცხოელი ვიზიტორების მიერ განეული ხარჯების შესახებ ამ პრობლემის გადაწყვეტისთვის ერთ-ერთი გადადგმული ნაბიჯია. მიუხედავად მნიერი ბიუჯეტისა, კვლევამ შედეგი გამოიღო და დაგვანახვა ტურისტული ხარჯების რეალური სურათი.

კვლევამ, რომელიც მიმდინარეობდა ოთხი თვის განმავლობაში, მოიცვა 2016 წლის მაის-აგვისტოში საქართველოში საჰაერო ტრანსპორტით ჩამოსული უცხოელი ვიზიტორები. ამიტომ გამოკითხვა ჩატარდა საქართველოს უმსხვილეს აეროპორტებში: თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტებში.

შსს-ს ოფიციალური მონაცემებით, საქართველოდან გამსვლელ უცხოელ მოგზაურთა რაოდენობის მიხედვით უპირობო ლიდერი თბილისის აეროპორტია, რომლის წილი საჰაერო ტრანსპორტით უცხოელ მგზავრთა რაოდენობაში 81,9%-ია.


ცხრილი 1.

საქართველოდან გამსვლელ მოგზაურთა რაოდენობა*

გამშვები პუნქტი	საქართველო	თურქეთი	სომხეთი	აზერბაიჯანი	რუსეთის ფედერაცია	სხვა დანარჩენი	სულ	%
ბათუმის აეროპორტი	15,189	11,539	226	359	15,051	30,605	72,969	8.0
თბილისის აეროპორტი	286,142	22,130	19,419	17,236	94,260	311,488	750,675	81.9
ქუთაისის აეროპორტი	26,901	109	652	395	8,019	56,940	93,016	10.1
სულ	328,232	33,778	20,297	17,990	217,330	399,033	916660	

* ცხრილი შედგენილია შსს-ს 2013 წლის საზღვრის კვეთის მონაცემებზე დაყრდნობით.

სამივე აეროპორტის მონაცემების მიხედვით, გამვალ ვიზიტორებს შორის ქართველნი საქართველოსა და რუსეთის მოქალაქეები, მაღალი იყო უკრაინის რეზიდენტების პროცენტული მაჩვენებელიც. სწორედ საქართველოს მოქალაქეების მაღალი წილი მგზავრთა შორის განსაკუთრებით ქუთაისის აეროპორტში გახდა რესპონდენტთა სტრუქტურაში ცვლილების შეტანის მიზეზი გეოგრაფიული ნიშნის მიხედვით.




დიაგრამა 1. საქართველოდან გამსვლელ მოგზაურთა რაოდენობა (დიაგრამა აგებულია შსს-ს მონაცემების საფუძველზე).

როგორც აღვნიშნეთ, კვლევის სამიზნე სეგმენტი მოიცავდა საქართველოში შემოსულ უცხოელ ვიზიტორებს, 15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობას, რომლებიც სამიზნე თვის განმავლობაში ესტუმრნენ საქართველოს (არსებული მეთოდოლოგიით მონაცემების განზოგადება ხდებოდა სამიზნე თვეზე). შედეგების შენონვა და იმპუტაცია განხორციელდა თითოეული კონკრეტული თვის მიხედვით. შერჩევის პოპულაცია 2167 ადამიანით განისაზღვრა და რესპონდენტების გადანაწილებაც აეროპორტების მიხედვით მოხდა საერთაშორისო აეროპორტებში ჩამოსული ვიზიტორების რიცხოვნობისა (მოქალაქეობის ქვეყნის შესაბამისად) და გასამგზავრებლად გაყიდული ბილეთების რაოდენობის პროპორციულად. შედეგად, აეროპორტების მიხედვით, რესპონდენტებისათვის განისაზღვრა შემდეგი კვოტები: 1775 – თბილისი 174 – ქუთაისი 218 – ბათუმი

გამოსაკითხი რესპონდენტების განაწილება აეროპორტების მიხედვით

გასვლის მოცულობა	11.0%	26.0%	20.0%	7.7%	14.8%	9.0%	11.5	100.0%
გამშვები პუნქტი	ევროკავშირის ქვეყნები	თურქეთი	უკრაინა	აზერბაიჯანი	რუსეთის ფედერაცია	ბელორუსი	სხვა დანარჩენი	სულ
ბათუმის აეროპორტი – საჰაერო	0	140	20	0	40	10	8	218
თბილისის აეროპორტი – საჰაერო	220	405	340	165	250	185	210	1775
ქუთაისის აეროპორტი – საჰაერო	10	25	80	0	30	0	29	174
სულ	230	570	440	165	320	195	247	2167

როგორც ძირითადად, ისე საპილოტე კვლევამ აჩვენა, რომ რესპონდენტთა შორის განსაკუთრებით აქტიური და კვლევისადმი კეთილგანწყობილნი აღმოჩნდნენ უკრაინის, რუსეთის, თურქეთის, ევროკავშირის ქვეყნების მოქალაქეები.




დიაგრამა 2. რესპონდენტების განაწილება აეროპორტების მიხედვით (დიაგრამა აგებულია ჩვენი გაანგარიშების საფუძველზე).

* ცხრილი აგებულია ჩვენი კვლევის მონაცემების საფუძველზე.


კვლევის პროცესში საერთაშორისო შემომსვლელი ვიზიტორების მოუწესრიგებელი პოპულაციიდან (შერჩევის ბაზა) სრულიად შემთხვევითი პრინციპით აეროპორტებიდან მათი გამგზავრების დროს შევარჩიეთ გარკვეული ნაწილის და, ბუნებრივია, მისი პროპორციული განაწილება ჩვენთვის სასურველი ნიშნით (განუვლი ხარჯების მიხედვით) ქალაქებს შორის სამივე აეროპორტის მიხედვით. რესპონდენტთა ყოველი ნაკადის გამოკითხვის შემდეგ აეროპორტებიდან მიღებული მონაცემები გენერირდებოდა ერთიან ბაზაში „SPSS 20“ პროგრამების საშუალებით.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ რესპონდენტთა უდიდესი ნაწილი მამაკაცია – 52,8%.




დიაგრამა 3. რესპონდენტების განაწილება სქესის მიხედვით (დიაგრამა აგებულია ჩვენი გაანგარიშების საფუძველზე).

გამოკითხულთა 58,3% დაქირავებული მომუშავეა, 18,9 – თვითდასაქმებული, 4,7% პენსიონერია, 2,5% – უმუშევარი, ხოლო 5,4% – დიასახლისი.




დიაგრამა 4. რესპონდენტების განაწილება ეკონომიკური აქტივობის მიხედვით (დიაგრამა აგებულია ჩვენი გაანგარიშების საფუძველზე).

რესპონდენტთა ყველაზე დიდი ნაწილი – 33,5% – 20-30 წლის ასაკობრივ ჯგუფს მიეკუთვნება, 32,2% – 31 – 40 წლისაა, ხოლო 41 – 50 წლის ასაკობრივ ჯგუფს წარმოადგენდა მათი 16,5%; გაცილებით ნაკლები იყო 61 და ზევით ასაკის ჩამომსვლელთა წილი (5,5%) .



დიაგრამა 5. ტურისტების განაწილება ასაკის მიხედვით (დიაგრამა აგებულია ჩვენი გაანგარიშების საფუძველზე).

როგორც აღმოჩნდა, ყველაზე დიდი რაოდენობით საქართველოს სტუმრობს უკრაინის (21,4%), რუსეთის ფედერაციის (18,3%), შუა აზიის (9,3%), სომხეთის (8,6%), ირანის (5,3%), აზერბაიჯანის (4,6%) და ევროკავშირის ქვეყნების მოქალაქეები (7,9%) .




დიაგრამა 6. ტურისტების განაწილება მოქალაქეობის ქვეყნის მიხედვით (დიაგრამა აგებულია ჩვენი გაანგარიშების საფუძველზე).

განსაკუთრებით აღსანიშნავია ტურისტული ნაკადების ზრდა რუსეთის ფედერაციიდან და უკრაინიდან, რაც ეკონომიკური თვალსაზრისით საკმაოდ

მოგებიანია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ტურისტულ ხარჯებში მკვეთრად ჭარბობს ამ ქვეყნების მოქალაქეების წვლილი.


როგორც კვლევამ აჩვენა, ტურისტებს შორის, რომლებიც პირველად ეწვივნენ საქართველოს, ჭარბობს ახალგაზრდა ასაკის მოსახლეობა. პირველად ჩამოსული ვიზიტორების საერთო რაოდენობაში ძალიან მაღალია 20–40 წლის ტურისტების წილი (71%), ხოლო განმეორებით ჩამოსულებში – 31 და ზევით ასაკის მოსახლეობა შეადგენს 74%-ს, რაც სხვა თანაბარ პირობებში მათი ხელმეორედ ჩამოსვლის მოლოდინს აძლიერებს.



დიაგრამა 7. ტურისტების ასაკი და საქართველოში ვიზიტების რიგითობა (დიაგრამა აგებულია ჩვენ მიერ გაანგარიშებული მაჩვენებლების საფუძველზე).


საერთო ჯამში, 1295 რესპონდენტი, ანუ გამოკითხული ტურისტების 59,8%, საქართველოში პირველად იმყოფებოდა. ყველაზე მეტმა, 13,6%-მა, საქართველოში გაათია 6 ღამე, 11,7%-მა – 7 ღამე, ხოლო 8,8%-მა 1 ღამე.

ჩვენი გაანგარიშებით: უცხოელი ვიზიტორების მიერ საქართველოში გატარებული ღამეების საშუალო რაოდენობა 8,5-ია; ვიზიტორთა 39,6% ქვეყანაში მოგზაურობდა ნათესავებთან ერთად; მეგობრებთან – 26,5%; მარტო – 21,4%; ხოლო 4,4% – ტურისტულ ჯგუფთან ერთად.




დიაგრამა 8. ვიზიტორების განაწილება თანმხლები პირების მიხედვით (დიაგრამა აგებულია ჩვენ მიერ გაანგარიშებული მაჩვენებლების საფუძველზე).

ამასთან, მოგზაურთა 34,8%-ს თან ახლდა 2 პიროვნება, 22,4%-ს – ერთი, 17,4% -ს – სამი, ხოლო 11,2%-ს – ოთხი.




დიაგრამა 9. ვიზიტორების განაწილება თანმხლები პირების რაოდენობის მიხედვით (დიაგრამა აგებულია ჩვენ მიერ გაანგარიშებული მაჩვენებლების საფუძველზე).

გამოკითხულთა: უმრავლესობამ (59,6%) მიმართა სასტუმროს, როგორც განთავსების ყველაზე პოპულარულ საშუალებას, 10,8%-მა – გესტჰაუსს, 9,9%-მა ბინა დაიქირავა, ხოლო კერძო სახლი – 9,2%-მა, გაცილებით ნაკლები (5%) ვიზიტორი კი მეგობრის სახლში ცხოვრობდა.




დიაგრამა 10. ვიზიტორების განაწილება განთავსების საშუალებების მიხედვით (დიაგრამა აგებულია ჩვენ მიერ გაანგარიშებული მაჩვენებლების საფუძველზე).

რესპონდენტთა: 67,8%-ისათვის საქართველოში ვიზიტის მიზანი იყო დასვენება, 14,4% ქვეყანას ეწვია ახლობლების მონახულების, ხოლო 13,7% პროფესიული მიზნით.



დიაგრამა 11. ჩამოსვლის მიზეზი (დიაგრამა აგებულია ჩვენ მიერ გაანგარიშებული მაჩვენებლების საფუძველზე).

როგორც კვლევამ აჩვენა, დასვენებასთან ერთად ტურისტებს პროფესიული ბიზნესინტერესებიც ამოძრავებთ. ამ მხრივ ჭარბობენ პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან (რუსეთი, უკრაინა, შუა აზია ჩვენს მიერ ყაზახეთი და უზბეკეთი) ჩამოსული ვიზიტორები. რესპონდენტთა უმრავლესობამ – 85,7% – საქართველოში ჩამოსასვლელად უცხოური ავიახაზების მომსახურებით ისარგებლა.




დიაგრამა 12. ჩამოსვლის მიზეზი მოქალაქეობის მიხედვით (დიაგრამა აგებულია ჩვენ მიერ გაანგარიშებული მაჩვენებლების საფუძველზე).

სეზონური ფაქტორიდან გამომდინარე, როგორც მოსალოდნელი იყო, ძირითად მონახულებად ადგილებს მიეკუთვნება თბილისი და ბათუმი.

გამოკითხულთა: 71,9% ესტუმრა თბილისს

- 52% – ბათუმს
- 15,7% – მცხეთას
- 15,2% – ბორჯომს
- 13,8% – ქუთაისს
- 11,7% – სიღნაღსა და გორს
- 10,5% – ყაზბეგს
- 6,7% – მესტიასა და უშგულს
- 5,5% – თელავს
- 5% – რუსთავს
- 4,2% – ზუგდიდს
- 3,8% – გუდაურს
- 3,2% – ბაკურიანსა და ყვარელს
- 2,7% – დმანისს
- 2,8% – მარნეულს
- 3,4% – ურეკს და ა.შ.




დიაგრამა 13. ვიზიტორების განაწილება მონახულების ადგილების მიხედვით (დიაგრამა აგებულია ჩვენ მიერ გაანგარიშებული მაჩვენებლების საფუძველზე).

საინტერესო სურათი გამოვლინდა ტურისტული ადგილების მონახულების ანალიზის შედეგად ტურისტების რეზიდენტობის გათვალისწინებით. მაგალითად, აღმოჩნდა, რომ ანაკლიას ესტუმრა მხოლოდ ბელორუსიდან და ისრაელიდან ჩამოსული 12 ვიზიტორი; ბაკურიანს – 55, მათ შორის, ყველაზე მეტი – 31% – რუსეთიდან, 27% – აზერბაიჯანიდან და 20% – ირანიდან ჩამოსული ვიზიტორი იყო; ბათუმი მოინახულა 1079 ვიზიტორმა, მათ შორის ყველაზე მეტი – 29,7% – იყო უკრაინელი, 16,8% – რუსი, ხოლო 9,9% ისრაელის მოქალაქე; ბორჯომში იმყოფებოდა 314 ვიზიტორი, რომელთა შორის ყველაზე მაღალი ხვედრითი წილით – 27,7%-ით – შუა აზიისა (უზბეკეთისა და ყაზახეთის) და – 23,6% – რუსეთის მოქალაქეებს წარმოადგენდნენ; ბოლნისი მოინახულა 34-მა ვიზიტორმა და აღსანიშნავია, რომ მათი აბსოლუტური უმრავლესობა იყო რუსეთის ფედერაციის რეზიდენტი; გორს ესტუმრა 224 ადამიანი, მათ შორის ყველაზე მეტი უკრაინისა და შუა აზიის ქვეყნების რეზიდენტები – შესაბამისად, 29,5% და 23%; გუდაურში იმყოფებოდა 85, მათ შორის ყველაზე მეტი იყო უკრაინელი – 48% და ირანელი – 25,9%; ყაზბეგს ესტუმრა 227 ვიზიტორი, ყველაზე მეტი ევროკავშირის ქვეყნებისა – 22% და რუსეთის რეზიდენტები – 20,7%; ქობულეთში იმყოფებოდა 351 რესპონდენტი, ყველაზე მეტი სომხეთისა – 42,8% და რუსეთის – 30,4% – მოქალაქეები იყვნენ; ქუთაისს ესტუმრა 300 რესპონდენტი, მათ შორის ყველაზე მეტი უკრაინის – 37%, რუსეთის – 22,7%, ევროკავშირის ქვეყნების – 8%, შუა აზიის – 7,7% რეზიდენტები იყვნენ; ყვარელში იმყოფებოდა 70 ვიზიტორი, ძირითადად, უკრაინელები – 58,6%, ევროკავშირის ქვეყნების მოქალაქეები – 33%, ბალტიისპირელები – 8,5%; ლაგოდეხში იმყოფებოდა 34 რესპონდენტი და, ძირითადად, ბელორუსიდან, შუა აზიიდან და ირანიდან ჩამოსულები; მარნეულში – 61 რესპონდენტი, მათ შორის: რუსეთიდან – 55,7%, ბელორუსიდან – 19,7% და დიდი ბრიტანეთიდან – 24,6%; მესტიაში იმყოფებოდა 146 ადამიანი: ყველაზე მეტი უკრაინელი – 45,2%, ევროკავშირის ქვეყნებიდან – 30,8% და აშშ-იდან – 12,3%; მცხეთაში იმყოფებოდა 340 რესპონდენტი, რომელთა შორის ჭარბობდა უკრაინის – 40%, რუსეთის – 26,5%, შუა აზიის – 13,7%, და ევროკავშირის ქვეყნების – 6,5% – რეზიდენტი; რუსთავს ესტუმრა სულ 108 ადამიანი, მათ შორის: ძირითადად, რუსეთიდან – 37% და ბელორუსიდან – 11% – ჩამოსულები.

სიღნაღში იმყოფებოდა 231, მათ შორის ყველაზე მეტი იყო უკრაინელი – 35,2%, რუსი – 27,3%, ებრაელი – 27,3%, ამერიკელი – 7,4%; თელავში იმყოფებოდა 120, მათ შორის 37,5% უკრაინიდან, 20% – რუსეთიდან, 14,2% – აშშ-იდან, 10% – ევროკავშირიდან, 9,2% იყვნენ შუა აზიიდან და ჩინეთიდან ჩამოსული ვიზიტორები. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყველაზე მეტი, 1544, ვიზიტორი იმყოფებოდა თბილისში, მათ შორის გამოირჩეოდა რუსეთი – 20%, უკრაინა – 14,2%, აზია და ოკეანეთი – 11,7%, ევროკავშირი – 10,9%, შუა აზია – 9,2%, ისრაელი – 8,8%, ირანი – 6,7%, და ა.შ.


ურეკში იყო 74, ძირითადად, სომხეთიდან – 41%, უკრაინიდან – 28,4% და რუსეთიდან – 23%.

ზუგდიდი მონახულა 90-მა რესპონდენტმა, რომელთა შორის ყველაზე მეტი იყო ევროკავშირის – 33%, უკრაინის – 33% და აშშ-ის – 30% მოქალაქეები.




დიაგრამა 14. ვიზიტორების განაწილება ტურისტული პაკეტების შეძენის მიხედვით (დიაგრამა აგებულია ჩვენ მიერ გაანგარიშებული მაჩვენებლების საფუძველზე).

როგორც ვხედავთ, რესპონდენტთა 80,2%-ს ტურისტული პაკეტი არ შეუძენია და თვითონ დაგეგმა ტური საქართველოში. დანარჩენი რესპონდენტებიდან (19,8%) 2,4%-მა ქართველი ტუროპერატორებისგან შეიძინა ტურისტული პაკეტი, 17,4%-მა კი უცხოელი ტუროპერატორებისგან.




დიაგრამა 15. ვიზიტორების განაწილება ტუროპერატორების მიხედვით (დიაგრამა აგებულია ჩვენ მიერ გაანგარიშებული მაჩვენებლების საფუძველზე).

პაკეტების შეძენისას ყველაზე მეტია ის პაკეტი, რომელთა ღირებულება 601–1000 აშშ-ის დოლარამდეა, ხოლო 26,5%-მა შეიძინა 401– 500 დოლარამდე ღირებულების პაკეტი.



დიაგრამა 16. ვიზიტორების განაწილება ტურპაკეტების ღირებულების მიხედვით (დიაგრამა აგებულია ჩვენ მიერ გაანგარიშებული მაჩვენებლების საფუძველზე).


აღსანიშნავია პაკეტის შეძენის გარეშე ტურისტების მიერ განეული ხარჯების სტატისტიკა. დამოუკიდებლად დაგეგმილი ტურების შემთხვევაში: რესპონდენტთა 34,3%-ის ხარჯი ბინის დაქირავებაზე 101–300 აშშ-ის დოლარამდე მერყეობს, 31,7%-ისათვის 301-იდან 700 აშშ-ის დოლარამდე, ხოლო 1000 დოლარამდე დახარჯა გამოკითხულთა 18,9%-მა.



დიაგრამა 17. ბინის დაქირავების ხარჯი (დამოუკიდებლად დაგეგმილი ტურების შემთხვევაში) - დიაგრამა აგებულია ჩვენ მიერ გაანგარიშებული მაჩვენებლების საფუძველზე.


რეკრეაციისთვის: ვიზიტორთა 31,3%-მა 101-იდან 200 აშშ-ის დოლარი დახარჯა 24,2%-მა 51-იდან 100 დოლარამდე, 4,8%-მა 501 და მეტი დოლარი.

თუმცა ყველაზე მეტმა (38,7%) რეკრეაციისთვის მხოლოდ 50 დოლარი დახარჯა. ამ მხრივ გამოირჩევიან ისევ რუსეთის, უკრაინის, ისრაელისა და ევროკავშირის ქვეყნების რეზიდენტები.




დიაგრამა 18. ვიზიტორების განაწილება რეკრეაციისთვის განეული ხარჯის მიხედვით (დიაგრამა აგებულია ჩვენ მიერ გაანგარიშებული მაჩვენებლების საფუძველზე).

სხვადასხვა საქონლის შეძენაზე (წვრილ საყიდლებისთვის): რესპონდენტთა 28,2%-ის ხარჯი 51-იდან 100 დოლარამდე მერყეობდა, 21,9%-მა 101-იდან 200 დოლარამდე დახარჯა, 15,3%-მა – 201-იდან 500 დოლარამდე, 4,6%-მა – 501-იდან 1000-ამდე, 2,8%-მა – 1001-ზე მეტი, და მხოლოდ 50 დოლარამდე – რესპონდენტთა 27,2%-მა.



დიაგრამა 19. ვიზიტორების განაწილება სხვადასხვა საქონლის შეძენაზე განეული ხარჯის მიხედვით (დიაგრამა აგებულია ჩვენ მიერ გაანგარიშებული მაჩვენებლების საფუძველზე).

აქაც აქტიურობდნენ რუსეთის, უკრაინისა და შუა აზიის მოქალაქეები. ვიზიტორთა 82,5%-მა განახორციელა 500 დოლარამდე კომერციული ხასიათის შესყიდვა, ხოლო 8,8%-მა – 1000 დოლარამდე.




დიაგრამა 20. ვიზიტორების განაწილება კომერციულ შესყიდვებზე განეული ხარჯის მიხედვით (დიაგრამა აგებულია ჩვენ მიერ გაანგარიშებული მაჩვენებლების საფუძველზე).

კომერციულ შენაძენებს, ძირითადად, ახორციელებდნენ რუსეთიდან, უკრაინიდან და ისრაელიდან ჩამოსული ტურისტები.


კვებისთვის განეული ხარჯების ანალიზმა აჩვენა, რომ რესპონდენტთა:

- 22,4%-მა დახარჯა 50 დოლარამდე,
- 51-იდან 100 დოლარამდე ხარჯი დააფიქსირა გამოკითხულთა 23,1%-მა,
- 17,1%-მა 201-იდან 300 დოლარამდე ხარჯი მიუთითა,
- 11,5%-მა – 301-იდან 500 დოლარამდე,
- ხოლო 1001-ზე მეტი დოლარი კვებისთვის დახარჯა გამოკითხულთა 2%-მა.



დიაგრამა 21. ვიზიტორების განაწილება კვებისთვის განეული ხარჯების მიხედვით (დიაგრამა აგებულია ჩვენ მიერ გაანგარიშებული მაჩვენებლების საფუძველზე).

როგორც დიაგრამიდან ჩანს, კვებითვის განეული ხარჯების მიხედვითაც ყველაზე მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩევიან: რუსეთი, უკრაინა, ევროკავშირი, სომხეთი, აზერბაიჯანი, შუა აზია.



დიაგრამა 22. მოქალაქეობა და კვებისთვის განეული ხარჯები. დიაგრამა აგებულია ჩვენ მიერ გაანგარიშებული მაჩვენებლების საფუძველზე.

ამასთან, კვებითვის ყველაზე მეტს ხარჯავენ, ძირითადად, დასვენების მიზნითა და საქმიანი ვიზიტით ჩამოსული რესპონდენტები.

ცხრილი 3.

კვებისთვის განეული ხარჯები და მოგზაურობის მიზანი*

	განეული ხარჯი (დოლარი)					
	50-ამდე	51-100	101-200	201-300	301-500	501-1000
დასვენება	282	283	342	252	228	47
მონახულება	35	48	51	31	21	0
განათლება	18	23	50	6	0	0
მკურნალობა	0	17	0	0	0	0
რელიგია	0	11	0	0	0	0
შოპინგი	20	44	17	21	0	0
პროფესიული	130	75	55	60	0	0
	485	501	515	370	249	47


კვლევის შედეგების მიხედვით, ყველა გამოკითხულმა რესპონდენტმა ისარგებლა ადგილობრივი სატრანსპორტო საშუალებებით, რაზეც:

64,5%-მა დახარჯა 50 დოლარამდე,

21,4%-მა – 50-იდან 100 დოლარამდე,

10,6% – მა –101-იდან 300 აშშ-ის დოლარამდე,

ხოლო 300 დოლარზე მეტი – 3,5%-მა. (იხ. 23-ე დიაგრამა).



დიაგრამა 23. ვიზიტორების განაწილება სატრანსპორტო საშუალებებზე განეული ხარჯის მიხედვით (დიაგრამა აგებულია ჩვენ მიერ გაანგარიშებული მაჩვენებლების საფუძველზე).

* ცხრილი აგებულია ჩვენი კვლევის შედეგების საფუძველზე.

გრძელვადიანი მოხმარების საგნები 192 ადამიანმა შეიძინა. მათ შორის: 100-იდან 200 დოლარამდე დახარჯა 33%-მა, 54,7%-მა 201-იდან 500 დოლარამდე, ხოლო 12%-მა 5001-ზე მეტი.

ძვირფასეულობა შეიძინა მხოლოდ 17-მა ადამიანმა, რაც მთელი რესპონდენტების 0,8%-ია და აქ, ძირითადად, გამოიკვეთა ისრაელიდან ჩამოსული ვიზიტორების დაინტერესება ძვირფასეულობით. უძრავი ქონება კი შეიძინა 1%-მა, ანუ 21-მა ადამიანმა.

თითოეული სახის დანახარჯის მიხედვით მიღებული ინტერვალური მაჩვენებლების დისკრეტულზე დაყვანამ საშუალება მოგვცა, გაგვეანგარიშებინა განეული ხარჯების საშუალო მაჩვენებლები.

კვლევის შედეგების მიხედვით, საშუალოდ ერთმა ვიზიტორმა დახარჯა:

- რეკრეაციისთვის – 98,50 დოლარი,
- ნვრილ შესყიდვებზე – 98,50 დოლარი,
- კომერციულ შესყიდვებზე – 521,40 დოლარი,
- ადგილობრივ ტრანსპორტზე – 62,13 დოლარი,
- გრძელვადიანი მოხმარების საგნებზე – 319,2708 დოლარი,
- ძვირფასეულობის შეძენაზე – 250 დოლარი,
- უძრავ ქონებაზე – 5000 დოლარი,
- საკვებზე 189,55 – დოლარი,
- და სხვა ხარჯებზე (აქ, ძირითადად, მიუთითეს სამგზავრო ხარჯები) – 602.81 დოლარი.

სულ რესპონდენტთა მიერ განეულმა ხარჯმა სხვა ხარჯების გამოკლებით შეადგინა 892 575 დოლარი. მათ შორის, ინდივიდუალურად ხარჯი განია 1309-მა ვიზიტორმა, რამაც 535 545 დოლარი შეადგინა. საშუალოდ ერთი ვიზიტორის მიერ ინდივიდუალურად განეული ხარჯი ჩვენი გაანგარიშებით გაუტოლდა 409.13 დოლარს, ხოლო კოლექტიური ხარჯი (ნათესავებთან/ოჯახის წევრებთან ერთად) განია 858-მა რესპონდენტმა 3281 ადამიანზე და მისი სიდიდე აღმოჩნდა 357 030 დოლარის ტოლი.

კვლევის შედეგად ასევე დადგინდა, რომ ერთ ნათესაურ ჯგუფში საშუალოდ იყო 3,8 ანუ 4 ადამიანი. ჩვენი გაანგარიშებით, ნათესაურ ჯგუფში ერთ ადამიანზე განეული ხარჯი 108,81 დოლარს გაუტოლდა. ამიტომ საშუალოდ ერთი ვიზიტორის მიერ ამ შემთხვევაში განეულ იქნა 413.5 დოლარის ხარჯი.


გამოიკვეთა, რომ ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი (69%) პირველად ჩამომსვლელთა შორის საქართველოში ჩამოდის მეგობრებსა და ნათესავებთან ერთად, ხოლო განმეორებით ჩამომსვლელთათვის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა მარტო (27%) და ნათესავებთან ერთად (38,9%) ჩამოსულ ვიზიტორებზე. აღსანიშნავია, რომ განმეორებით ჩამომსვლელთა ხვედრითი წილი შეადგენდა ვიზიტო-

რების 40%-ს, ანუ ყოველი მეოთხე, ფაქტობრივად, ხელახლა ჩამოდის საქართველოში.

ცხრილი 4.

რესპონდენტთა განაწილება თანმხლები პირების მიხედვით*

პირველი ვიზიტია თუ არა		ვისთან ერთად						სულ
		მარტო	ნათესაებთან	მეგობრებთან	კოლეგებთან	ტურისტების ჯგუფთან	სხვა	
(დიახ)		223	519	385	97	60	11	1295
	(არა)	240	339	189	69	35	0	872
სულ		463	858	574	166	95	11	2167



დიაგრამა 24. რესპონდენტთა განაწილება თანმხლები პირების რაოდენობის მიხედვით (დიაგრამა აგებულია ჩვენი კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების მიხედვით).

საინტერესო ტრენდი გამოვლინდა პირველად და განმეორებით ჩამომსვლელთა ხარჯვის სტრუქტურაში. რეკრეაციისთვის პირველად ჩამოსული ტურისტები თითქმის 1,5-ჯერ მეტს ხარჯავენ, ვიდრე მომდევნო ვიზიტის დროს. მათ წვრილი საყიდლებისთვის 1,3-ჯერ მეტი, ადგილობრივ ტრანსპორტზე – 1,6-ჯერ, კვებისთვის – 1,4-

* ცხრილი აგებულია ჩვენი კვლევის შედეგების მიხედვით.

ჯერ მეტი დახარჯეს განმეორებით ჩამომსვლელებთან შედარებით; რაც შეეხება გრძელვადიანი მოხმარების საგნების შეძენას, აქ, პირიქით, განმეორებითმა ვიზიტორებმა 1,4-ჯერ მეტი თანხა დახარჯეს, ვიდრე პირველად ჩამოსულებმა.

ემპირიული მონაცემების დამუშავების პროცესში გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები, რაც, ჩვენი აზრით, გასათვალისწინებელია:

- სახეზეა პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ტურისტული ნაკადების ზრდის ტენდენცია, განსაკუთრებით უნდა გამოიყოს: რუსეთი, უკრაინა, უზბეკეთი, ყაზახეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი და ა.შ.;
- ტურისტებს შორის ჭარბობს ახალგაზრდა ასაკის მოსახლეობა;
- რეკრეაციისთვის განუულ ხარჯებში საგრძნობლად მაღალია რუსეთის, უკრაინის, ისრაელისა და ევროკავშირის ქვეყნების რეზიდენტების ხვედრითი წილი;
- სხვადასხვა საქონლის შეძენაზე ყველაზე მეტი ხარჯი განიეს რუსეთის, უკრაინის, შუა აზიის მოქალაქეებმა;
- კვებისთვის განუული ხარჯების მიხედვითაც ყველაზე მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევიან: რუსეთი, უკრაინა, ევროკავშირი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ცენტრალური აზია;
- კვებისთვის ყველაზე მეტს ხარჯავენ, ძირითადად, დამსვენებლები და საქმიანი ვიზიტით ჩამოსული რესპონდენტები;
- კომერციულ შენაძენებს, ძირითადად, ახორციელებდნენ რუსეთიდან, უკრაინიდან და ისრაელიდან ჩამოსული ტურისტები. გამოიკვეთა ისრაელიდან ჩამოსული ვიზიტორების დაინტერესება ძვირფასეულობით;
- მართალია, გაიზარდა ტურისტული ინფრასტრუქტურითა და მომსახურების ხარისხით კმაყოფილების დონე, მაგრამ ჯერ კიდევ არსებობს მომსახურების ხარისხისა და ფასების შეუსაბამობის პრობლემა;
- რესპონდენტებმა, რომლებსაც შეძენილი ჰქონდათ ტურისტული პაკეტი (მიუხედავად ტუროპერატორის რეზიდენტობისა), ხარჯებში მიუთითეს მხოლოდ კვებისთვის განუული ხარჯები (საშუალოდ 189.55 დოლარი);
- განმეორებით ჩამომსვლელთა ხვედრითი წილი ვიზიტორების 40%-ს შეადგენდა, ანუ ყოველი მეოთხე ფაქტობრივად ხელახლა ჩამოდის საქართველოში;
- ქალაქების მონახულების ტრენდი თითქმის ერთნაირია, თუმცა აღსანიშნავია შუა აზიის ქვეყნებისა და ისრაელის წარმო-

მადგენელთა განსაკუთრებული დაინტერესება კურორტებით – ბორჯომითა და წყალტუბოთი;

- ვიზიტორების განანილებაზე ქალაქების მიხედვით გავლენას ახდენს არა მარტო სოციალურ-კულტურული, არამედ პოლიტიკური ფაქტორებიც. კერძოდ, როგორც აღმოჩნდა, აზერბაიჯანელი ვიზიტორების უმრავლესობის ლოკაცია არის ბათუმი, ხოლო სომხებისა – ქობულეთი;
- ტრადიციულად, საქართველოში პირველად ჩამოსული ტურისტები უფრო მეტს ხარჯავენ, ვიდრე განმეორებითი ვიზიტის დროს.

ვფიქრობთ, მიუხედავად მწირი ბიუჯეტისა, კვლევამ შედეგი გამოიღო და დაგვანახვა რეალური სურათი.

დასკვნები და რეკომენდაციები

პროექტის რეალიზების შედეგად განხორციელდა ტურიზმის ინფორმაციული უზრუნველყოფის გაუმჯობესება;

დაინერგა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ტურიზმის სტატისტიკის მეთოდოლოგია;

შესწავლილ იქნა ტურისტული ხარჯების სტრუქტურა ტერიტორიული, გენდერული, ასაკობრივი, პროფესიული, განათლების, ეკონომიკური აქტივობისა და სხვა ნიშნების მიხედვით;

შემუშავდა რეკომენდაციები ტურიზმის სტატისტიკური აღრიცხვის სრულყოფის საკითხებზე და წარედგინება საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასა და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებს;

ამ პროექტის ფარგლებში მომზადებული მონოგრაფია გამოყენებულ იქნება ტურიზმის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების შესაბამისი პროფილის დისციპლინების შესწავლისას;

ზემოთქმულიდან გამომდინარე, პროექტის შედეგები დიდ დახმარებას გაუწევს ტურიზმის სფეროში დასაქმებულ ბიზნესმენებს, ეკონომისტებსა და მენეჯერებს მათ წინაშე დასმული რთული ეკონომიკური და სოციალური ამოცანების გადაჭრასა და მოლოდინების განსაზღვრაში;

კვლევის შედეგები სიახლეა საქართველოს სტატისტიკის პრაქტიკაში და აქვს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა;

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის პროცესში რესპონდენტები ინტერვიუს დროს ხშირად მიუთითებდნენ იმ ხარვეზებზე, რომლებიც მათ მოგზაურობისას გარკვეულ დისკომფორტს უქმნიდნენ. ჩვენ შევეცადეთ, მოგვეხდინა ამ ხარვეზთა ტიპიზაცია და მოგვეცა მათი კლასიფიკაცია შემდეგი ფორმით:

ტურისტული ინფრასტრუქტურა; მომსახურების ხარისხი; ტურისტულ პროდუქტთან დაკავშირებული პრობლემები; საკრუიზო მიმოსვლის არასათანადო მასშტაბი და სხვ.

ტურისტული ინფრასტრუქტურა გულისხმობს განთავსების საშუალებების არასათანადო დონესა და რაოდენობას (განსაკუთრებით რეგიონებში). საჭიროა როგორც სასტუმრო, ისე საოჯახო სასტუმრო სახლების განვითარების ხელშეწყობა. მიგვაჩნია, რომ საჭიროა, ყურადღება მიექცეს ისეთ რეგიონებს, სადაც ვიზიტორთა ნაკადები არსებობს და მოთხოვნა სჭარბობს მიწოდებას. მაგალითად: ხევი, ხევსურეთი, თუშეთი, კახეთის ზოგიერთი რაიონი და სხვ.

პრობლემას ამწვავებს ამ და სხვა რაიონებშიც სამვარსკვლავიანი დაბალბიუჯეტიანი საერთაშორისო სასტუმრო ქსელების არარსებობა.

მართალია, უკანასკნელ წლებში საქართველოში საგრძნობლად გაიზარდა სასტუმროების რაოდენობა, თუმცა მათი დიდი ნაწილი, განსაკუთრებით რეგიონებში, არ აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს. ვითარებას ართულებს:

გამართული სანიტარიული კვანძების არარსებობა

მიუხედავად იმისა, რომ ავტოგასამართ სადგურებზე დაიწყო ტუალეტების ფუნქციონირება, კვლავ პრობლემად რჩება ტუალეტების მოწყობა და სანიტარიული ნორმების დაცვით ფუნქციონირება, პოპულარული ტურისტული მარშრუტებისა და სანახაობების გათვალისწინებით.

დასუფთავების პრობლემა (განსაკუთრებით რეგიონებში)

ჯერ კიდევ ხდება მყარი ნარჩენების დაგროვება, ვხვდებით უკონტროლო და უნებართვო სანაგვეებს. ამიტომ დგას საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან დასუფთავების მოგვარების საკითხიც.

მოუნესრიგებელი შიდა ტრანსპორტი

ბოლო ორი წლის განმავლობაში მკვეთრად გაიზარდა ინდივიდუალურ ანუ არაორგანიზებულ ტურისტთა რიცხვი, რაც პოზიტიური ნიშანია. ამასთან ერთად, დღის წესრიგში დადგა საზოგადოებრივი ტრანსპორტის ორგანიზებისა და მომსახურების გაუმჯობესების საკითხი. ასევე, მეტად მნიშვნელოვანია სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხოების საკითხიც.

ტურისტულ ღირსშესანიშნაობებთან მისასვლელი გზები

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ზოგიერთ ისტორიულ ძეგლთან თუ სხვა ღირსშესანიშნაობასთან მისასვლელი გზა სავალალო მდგომარეობაშია.

მომსახურების ხარისხი

საკმაოდ დაბალია მომსახურების ხარისხი, რაც გულისხმობს არაკვალიფიციურ პერსონალს მომსახურების ობიექტთა განთავსების საშუალებების, კვებისა და სხვა ტურისტულ ობიექტებს.

ა. შეინიშნება პროფესიონალი გიდების ნაკლებობა, განსაკუთრებით სამთო გიდებისა.

ტურისტულ პროდუქტთან დაკავშირებული პრობლემები

ეს საკითხი უკავშირდება ერთფეროვან ტურისტულ პროდუქტს. საჭიროა ტურისტული პროდუქტის დივერსიფიკაცია განვითარების თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით. არსებული შეთავაზება უმრავლეს შემთხვევაში „მორალურად“ დაძველდა და არ პასუხობს თანამედროვე მიმდინარეობების მოთხოვნებს.

მაღალფასიანი ტურისტული პაკეტი

აუცილებელია ტურისტული შეთავაზების დივერსიფიკაცია ფასისა და ტურისტული სეგმენტის გათვალისწინებით. მხოლოდ პაკეტურები არ არის საკმარისი ადგილობრივი და რეგიონული ბაზრების მოთხოვნათა საპასუხოდ. ამისათვის საჭიროა საინფორმაციო ცენტრების ქსელის განვითარება, ინტერნეტის საინფორმაციო და „ბუკინგ რესურსის“ სრულად გამოყენება, რათა დაეუახლოოთ ერთმანეთს მომხმარებელი და მიმწოდებელი, შევინარჩუნოთ კონკურენტუნარიანი ფასები, გავზარდოთ კლიენტის „ნდობა“ შემოთავაზების მიმართ და ამასთან ერთად უზრუნველვყოთ სერვისის ხარისხის მონიტორინგი.

მნიშვნელოვანია ტურიზმის მდგრადი განვითარება და სახელმწიფო მხარდაჭერა.

აუცილებელია ტურისტული პრიორიტეტული რეგიონების განსაზღვრა და დაგეგმვისა და მართვის კოორპერაციის გაუმჯობესება სახელმწიფო სტრუქტურებს, ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს, კერძო ბიზნესსა და მოსახლეობას შორის, რათა ჩამოყალიბდეს ტურისტული რეგიონების განვითარების ერთიანი ხედვა, მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი ამოცანებისა და ქმედებების გათვალისწინებით.

სასურველია, შემუშავდეს ფინანსური ხელშეწყობის მექანიზმები ადგილობრივი ტურისტული რესურსის განვითარებისათვის.

ხელმისაწვდომობა

დღეს დგას ხელმისაწვდომობის პრობლემაც და არსებობს **საკრუიზო მიმოსვლის არასათანადო მასშტაბი**. ტურისტთა უმრავლესობა საქართველოში ჩამოდის საჰაერო და სახმელეთო გზით. თუმცა ქვეყნის ტურიზმის განვითარებისთვის არსებითად მნიშვნელოვანი იქნება საკრუიზო მიმოსვლის აღდგენა-გააქტიურება.

ლიტერატურა:

ნ. აბესაძე, რ. ქინკლაძე, ე. ჩიტალაძე, სტატისტიკა ტურიზმისათვის, თბ., 2014.

Alternative methodologies for studying the tourism experience.

http://www.goodfellowpublishers.com/free_files/Chapter%2010-afe06955ded846d9978f7a4bfe466367.pdf

Basic questionnaire proposed by WTO to estimate visitor expenditure associated to inbound tourism.

<http://www.sesrtcic.org/imgs/news/Image/Basic%20questionnaire.visitor%20expenditure.pdf>

Methodological manual for tourism statistics. Version 3.1 Eurostat. Manuals and guidelines. 2014 edition.

Methodology in tourism research.

<http://www.journals.elsevier.com/annals-of-tourism-research>

Lorraine Brown, Research methods in tourism. Bournemouth University. 2009

Larry Dwyer, Recent Advances in Tourism Economics.

<https://elgarblog.com/2013/09/27/recent-advances-in-tourism-economics-by-larry-dwyer/>

Research Methods in Tourism: Quantitative and Qualitative Approaches.

<https://elgarblog.com/2012/09/07/research-methods-in-tourism-quantitative-and-qualitative-approaches-by-larry-dwyer/>

Research on International Experiences in Measuring Visitor Expenditure

Associated with Inbound Tourism. <https://www.imf.org/external/pubs/ft/bop/2002/02-38.pdf>

<http://www.e-unwto.org/doi/abs/10.18111/9789284406173.2>

www.geostat.ge

(Short Version)

1. Introduction

